საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 4 ივნისი. 2020 წ. №69 (8995) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

კოვიდი ③ და ჩვენი ზერექვერე ოპოზიცია

მუნიციპალური განვითარების ფონდის საეჭვო ტენდერები

⑤ ჟურნალისტური გამოძიება
გოქსელ გენჩი თურქი „ოსტაპ ბენდერი“?



ალეკო ფეიქრიშვილი

განგებით რჩეული ⑥ ერის შვილი ⑦

შეხვედრა დიდ მწერალთან

მეცნიერები - პანდემიის დასამარცხებლად

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გუშინ პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა, რომელსაც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე და მისი მოადგილე პაატა იმნაძეც ესწრებოდნენ.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის გიორგი კვესიტაძის თქმით, სასურველია, უფრო მეცნიერული დონე მიეცეს კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„გამოჩენილ ქართველ ექიმებს ვხვდებით, გვინდა, უფრო სერიოზული, საფუძვლიანი, ფუნდამენტური მიდგომა იყოს. გვინდა, შევქმნათ აკადემიის ექიმებით გაერთიანებული მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ამ საკითხზე. გვინდა, უფრო მეცნიერული დონე მიეცეს ამ მიმართულებას. ეს შესაძლებელია და გვყავს ამის შესაფერისი ექიმები“, — განაცხადა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა. ამასთან, როგორც ამირან გამყრელიძემ აღნიშნა, დღევანდელ შეხვედრაზე ისაუბრეს იმ მეთოდებზე, რომელიც აქამდე გამოუყენებიათ კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„მადლობა მეცნიერებათა აკადემიას, დღეს მოგვიწვიეს და მეცნიერული თვალთახედვით განვიხილეთ ეს პროცესები. მასალა უკვე საკმაოდ დაგროვდა, რისი სამეცნიერო ანალიზიც ძალიან საინტერესოა. ვფიქრობ, მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად, სადაც საკმაოდ დიდი კვლევითი პოტენციალია, შეიძლება მისი გაანალიზება, რომ უფრო სერიოზულად შევხვდეთ, თუ ასეთი იქნა, კიდევ მეორე-მესამე ტალღას“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

საქართველო ტურისტების თავშესაფარია!

ბრიტანული გამოცემა Daily Express-ი პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს წარმატებაზე და ქვეყნის, როგორც უსაფრთხო ტურისტული დანიშნულების ადგილზე წერს.

სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველო, სადაც „აღირიცხა მხოლოდ 12 გარდაცვალების შემთხვევა და 700-ზე ოდნავ მეტი დაინფიცირების შემთხვევა, დღეს უმეტესწილად თავისუფალია ვირუსისგან“.

„საერთაშორისო და ადგილობრივი ვიზიტორებისთვის ქვეყანაში ჩამოსვლის და ქვეყნის შიგნით მოგზაურობის უსაფრთხო გზების შექმნა, არის ვირუსთან მთავრობის წარმატებული ბრძოლის შემდგომი ეტაპი“, — ნათქვამია სტატიაში.

„საქართველო საერთაშორისოდ აღიარებულ იქნა COVID-19 პანდემიასთან ეფექტურ ბრძოლაში. მსოფლიო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საქართველო იქნება საერთაშორისო მგზავრებისა და დასვენების მსურველთა თავშესაფარი. მთავრობა აგრძელებს ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის სექტორის მხარდაჭერას, რომ უზრუნველყოს ზრუნვის უმაღლესი სტანდარტები, დაიცვას სამუშაო ადგილები და საარსებო პირობები საქართველოს ტურიზმის სექტორში“, — ავტორი ციტირებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია აცხადებს, რომ უნდა შეიქმნას „საჰაერო ხიდები“, რომლებიც ადამიანებს დააკავშირებს უსაფრთხო ქვეყნებთან, სადაც ინფექციის მაჩვენებელი უმნიშვნელოა“, — წერს The Express.

სტატიაში ასევე მოყვანილია საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მარიამ ქვრივიშვილის მოწოდება ბრიტანელი მოგზაურების მისამართით: **„ჩვენ მოხარულნი ვიქნებით კვლავ ვუმასპინძლოთ ბრიტანელ სტუმრებს, რომ მათ განიცადონ საქართველოს და შავი ზღვის სილამაზე უსაფრთხო და ჯანმრთელ გარემოში“.**

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 8 ივნისს

გიორგი გახარია:

წულუკიანს დავანინაურებთ!

ნაციონალებს 8 წლის განმავლობაში სულ ჰქონდათ ფორა, სულ უტევდნენ წულუკიანს, მაგრამ ძვრა ვერ უყვეს!

თეა წულუკიანი შესაძლოა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი იყოს. ინფორმაცია აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც გიორგი გახარიამ პარლამენტის ტრიბუნიდან გიგა ბოკერიას საპასუხოდ განაცხადა, რომ წულუკიანს დაანინაურებს. ოპოზიციაში აცხადებენ, რომ იუსტიციის მინისტრის პირველობა, კარგი საჩუქარია ოპოზიციისთვის, რადგან ასეთ შემთხვევაში 10%-იან ფორას მიიღებენ.

თეა წულუკიანმა, რომელმაც უკვე დააანონსა, რომ მალე მთავრობის შემადგელობაში არ იქნება, არ ამბობს იქნება თუ არა „ოცნების“ სიის ლიდერი. მისი თქმით, უნდა დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და ყველა დავინახავთ, ვინ სად დადგება საარჩევნო კამპანიის დროს.

„ვფიქრობ, პრემიერის ეს რეპლიკა პასუხი იყო იმ აბსოლუტურად ოდიოზურად ქცეული პოლიტიკოსის კივილზე, რომელიც ყველამ ერთად ვიხილეთ პარლამენტში და არ მგონია, რომ ამის უკან რაიმე ტიპის რეალური გეგმები იდგეს“, — განაცხადა **თეა წულუკიანმა**.

„როგორც ყველა პარტია, ისე მმართველი პარტია მუშაობს და მალე ყველაფერი იქნება ცნობილი. მაჟორიტარებს რაც შეეხება, მაჟორიტარი იქნება ის, ვისაც გამარჯვების მეტი შანსი ექნება, ვისაც მეტი მხარდამჭერი ეყოლება და დიდი პოპულარობით სარგებლობს კონკრეტულ რაიონებში. რაც შეეხება სიას, ჯერ მიმდინარეობს მსჯელობა და შერჩევა. ყველა იმ კრიტერიუმის გათვალისწინება მოხდება, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისთვის“, — განაცხადა **კახა კალაძემ**.

იმის მიუხედავად, რომ წულუკიანი შეუცვლელი მინისტრი აღმოჩნდა „ქართული ოცნებისთვის“, მის მიმართ საზოგადოებაში პრეტენზიები არ განელებულა როგორც კოჰაბიტაციის ნაწილში, ასევე ეს უკავშირდება სტრასბურგის სასამართლოში წაგებულ საქმეებს. ერთადერთი საქმე, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ მოიგო, ეს არის ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმე. პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ ოპოზიცია სულ უფრო და უფრო ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ განცხადებებს მოვლენების ანალიზიდან არ აკეთებს.

„მათ უნდათ, რომ ჰქონდეთ ფორა. ასეთი ფორა 8 წლის განმავლობაში სულ ჰქონდათ. სულ უტევდნენ წულუკიანს და ძვრა ვერ უყვეს. რატომ ჰგონიათ, რომ ამ გამოცდილების ფონზე წულუკიანის ფიგურა მათთვის საჩუქარი იქნება? თუკი ადრე ვერ უყვეს ძვრა, სავარაუდოდ, ახლაც ასე ადვილად ვერ მოერევიან. ოპოზიციასთან ურთიერთობისთვის წულუკიანს თავისი სტილი აქვს. სამინისტროს მართვაში, მინისტრის ფუნქციებში რამდენად წარმატებულია ეს სხვა თემაა, მაგრამ პოლიტიკური დაპირისპირების დროს, ის უკომპრომისოა ოპოზიციასთან ურთიერთობაში. თუკი ასეთი უკომპრომისო ფიგურა საჩუქარია, კი, ბატონო. ასეთი უკომპრომისო ფიგურის საჩუქრად ჩათვლა კი, თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ოპოზიციას ანალიზის უნარი არ აქვს. „მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდა“ — დაახლოებით ამ ვითარებაში არიან.

უნდათ, რომ წულუკიანი მათთვის მომგებიანი იყოს, მაგრამ სწორედ წულუკიანი იქნება ძალიან წამგებიანი. ახლახან, რაც მათ იწვნიეს გახარიასგან, ალბათ, წულუკიანისგანაც დაახლოებით ისეთივე სურათს მიიღებენ, რაც სულაც არ იქნება მათთვის მომგებიანი. თუ არაფერზე არ ფიქრობენ, კი ბატონო თქვან, რომ ფორაა“...

პოლიტოლოგის განცხადებით, კორონავირუსთან ბრძოლის პროცესში გიორგი გახარიამ უკვე აკრიფა დივიდენდები. პარლამენტში გამოსვლის შემდეგაც გამოჩნდა, რომ ის არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა კი, შეიძლება პარტიის პირველ ნომრადაც ჩაჯდეს და შემდეგ ისევ გახდეს პრემიერი.

„გახარია გარკვეული შესაძლებლობების ფიგურა არის. ამას ყველა თვლის, მით უმეტეს კორონავირუსის შემდეგ. გახარიამ ლომის წილი შეასრულა კორონავირუსის დამარცხებაში, რაზეც ექიმებიც საუბრობენ. წულუკიანს ამ პერიოდში არანაირი როლი არ ჰქონდა და არც უნდა ჰქონოდა. ამიტომ, „ოცნებისთვის“ სულერთი არ უნდა იყოს პარტიის სიის სათავეში ვინ ეყოლება. შიგნით როგორ გაიაზრებენ პოლიტიკურ პიარ-სტრატეგიას, ეს სხვა საკითხია, მაგრამ გახარია არის უფრო სასურველი „ოცნებისთვის“. პირველ ნომრად დასახელებას ის ფუნქციაც აქვს, რომ პირველმა ნომერმა მიიზიდოს ხმები და ამ თვალსაზრისით, გახარია უფრო მიმზიდველი იქნება. ასევე მნიშვნელოვანია ის ფუნქციაც, რომ სიის პირველმა არჩევნების შემდეგ ჩაიბაროს მთავრობის ხელმძღვანელობა, — დასძინა **რამაზ საყვარელიძემ**.

ანალიტიკოსის **ვახტანგ ძაბირაძის** შეფასებით, პოლიტიკურ ველზე ისეთი რეალობა გვაქვს, რომ აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ძირითად კონკურენტ პარტიაში ვინ იქნება პირველი და ვინ მეორე. „ქართული ოცნების“ პირველი ნომერი არის ბიძინა ივანიშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ პირველი ნომერი არის სააკაშვილი, არ აქვს მნიშვნელობა უკრაინაში იქნება, თუ ანტარქტიდაში. სამწუხაროდ, ეს რეალობა გვაქვს. ამომრჩეველი ხმას არ აძლევს სიას. თუ სააკაშვილი გადავა „ევროპულ საქართველოში“, მეორე პარტია იქნება „ევროპული საქართველო“. ასეთივე ვითარება არის „ქართულ ოცნებაშიც“. იქნება თეა წულუკიანი მოგებული, თუ წაგებული საქმეებით, იქნება თვითონ გახარია, თუ ვინმე სხვას მოძებნიან, მნიშვნელობა არ აქვს, ისევე როგორც 2012-2016 წლებში. ეს არის სინამდვილე.

თამთა ძარჩავა

მსოფლიო ბანკი: ხალხზე თანხების გაცემა და კერძო სექტორის შენარჩუნება დაეხმარება ქვეყნებს კრიზისიდან გამოსვლაში

ძირითადი კომუნალური მომსახურების უზრუნველყოფა, ხალხისთვის თანხების პირდაპირი გაცემა და კერძო სექტორის შენარჩუნება შეზღუდავს ზარალის მოცულობას და დაეხმარება ქვეყნებს კრიზისიდან გამოსვლისა და აღდგენის პროცესისთვის მომზადებაში, — ამის შესახებ საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.

„კორონავირუსის („კოვიდ-19“) პანდემია და ეკონომიკის გაჩერება სერიოზულ დარტყმას აყენებს გლობალურ ეკონომიკას და განსაკუთრებით, ღარიბ ქვეყნებს. მას შემდეგ, რაც ჯანმრთელობის სფეროში ყველაზე უარესი კრიზისი ჩაცხრა, განვითარებად ქვეყნებსა და საერთაშორისო საზოგადოებას უკვე შეუძლია, გადადგან ნაბიჯები აღდგენის დასაჩქარებლად და შეამცირონ გრძელვადიანი უარყოფითი შედეგების გავლენა იმ გზით, როგორც ეს წარმოდგენილია მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ დღეს გამოქვეყნებული გლობალური ეკონომიკური პერსპექტივების შესახებ მოხსენების ანალიტიკურ ნაწილში“, — აღნიშნულია მსოფლიო ბანკის ინფორმაციაში.

მსოფლიო ბანკში აცხადებენ, რომ ჯანმრთელობის გადაუდებელი დახმარებისა და ძირითადი კომუნალური მომსახურების გაწევისთვის საჭირო მოკლევადიანი რეაგირების ზომების გატარებას თან უნდა ახლდეს ყოვლის მომცველი პოლიტიკური ღონისძიებები გრძელვადიანი ზრდის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, როგორც მმართველობისა და საქმიანი გარემოს გაუმჯობესების საშუალებით, ასევე განათლებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ინვესტიციების შედეგების გაფართოებითა და გაუმჯობესებით. მომავალი ეკონომიკა რომ უფრო მდგრადი გახდეს, ბევრ ქვეყანას დასჭირდება სისტემები, რომელთაც აღდგენის პერიოდში შეუძლიათ შექმნან და შეინარჩუნონ უფრო მეტი ადამიანური და მატერიალური კაპიტალი ისეთი პოლიტიკური ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც ასახავენ და ხელს უწყობენ პანდემიის შემდგომ პერიოდში ახალი ტიპის სამუშაოების, საქმის წარმოებისა და მართვის სისტემების საჭიროებას.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ინფორმაციით, აღნიშნული კვლევა გამოიცა 8 ივნისის სრული ანგარიშის გამოქვეყნებამდე, რომელშიც შევა მსოფლიო ბანკის ჯგუფის უკანასკნელი პროგნოზები გლობალური ეკონომიკისათვის.

თითო საათი 165 აშშ დოლარი ჯდება — თუ ეს ვინმეს ენანება ჩვენი ჯარისკაცებისთვის, ეს მათ ნამუსზე იყოს, — ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

ღარიბაშვილმა ჯარისკაცების წასახალისებლად თავდაცვის უწყების მიერ ჯერ კიდევ დეკემბერში შეკვეთილ სასაჩუქრე საათებზე ისაუბრა. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განმარტა, მან ცნობილ დიზაინერს ზვიად ციკოლიას ჯარისთვის ბრენდირებული სასაჩუქრე საათების შექმნა სთხოვა, რომელზეც გამოსახულია საქართველოს დროშა და წარწერა — თავდაცვის ძალები. როგორც მინისტრმა აღნიშნა, მსგავსი სახის საჩუქარი მიღებული ფორმაა ნებისმიერ ჯარში, მათ შორის ევროპის ქვეყნების თავდაცვის ძალებშიც.

ირაკლი ღარიბაშვილი: თითო საათი 165 აშშ დოლარი ჯდება - თუ ეს ვინმეს ენანება ჩვენი ჯარისკაცებისთვის, ეს მათ ნამუსზე იყოს!

„საზოგადოებისთვის რომ განვმარტო, თითო საათი 165 აშშ დოლარი ჯდება. თუ ეს ვინმეს ენანება ჩვენი ჯარისკაცებისთვის, რომლებიც მინდა, რომ წავახალისო, მაშინ ეს მათ ნამუსზე იყოს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. თავდაცვის მინისტრმა სასაჩუქრე საათების უტენდეროდ შეკვეთაზეც გაამახვილა ყურადღება და განმარტა, რომ ტენდერის ჩატარება დიზაინერსა და პოლიტიკოსს შორის ვერ მოხდებოდა.

„ზვიად ციკოლია ცნობილია თავისი გამოგონებებით, დიზაინით და პირდაპირ მას დავუკვეთეთ. საუბარია 83 ათას დოლარზე, რომელიც ჯარს მოხმარდა“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნდნენ

თითქმის ხუთი თვის შემდეგ გერმანიიდან ასზე მეტი ქართველი ჯარისკაცი დაბრუნდა. გერმანიის საჰაერო ძალების თვითმფრინავმა Airbus A 310 „კურტ შუმახერმა“ ისინი ბერლინიდან თბილისში ჩამოიყვანა.

აეროპორტში ქართველ ჯარისკაცებს დახვდა გერმანიის საელჩოს სამხედრო ატაშეს შტაბი. ქართველებს გერმანიის ფედერალურ მიწა მეკლენბურგ-ფორპომერნში 41-ე სატანკო გრენადერთა ბრიგადის ტრენერები ავღანეთში მისიის შესასრულებლად ამზადებდნენ. ჯარისკაცებს თავდაპირველად კარანტინის გავლა მოუწევთ, ხოლო შემდეგ დამსახურებულ შვებულებას გაატარებენ თავიანთ ოჯახებთან ერთად.

ᲙᲝᲕᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲖᲔᲠᲔᲥᲕᲔᲠᲔ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲕᲭᲘᲠᲡ, ᲐᲠᲪ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲠᲘᲡᲮᲕᲐᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ. ᲐᲓᲠᲔᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲛᲝᲛᲐᲙᲕᲓᲘᲜᲔᲑᲔᲚ ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲚᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲣᲐᲠᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ: ᲨᲐᲕᲘ ᲭᲘᲠᲘ (ᲟᲐᲛᲘ), ᲥᲝᲚᲔᲠᲐ (ᲮᲝᲠᲕᲔᲚᲐ), ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ, „ᲘᲡᲞᲐᲜᲙᲐ“...

ᲨᲐᲕᲛᲐ ᲭᲘᲠᲛᲐ (ᲟᲐᲛᲛᲐ) პირველად VI საუკუნეში იფეთქა აღმოსავლეთ რომის იმპერიაში და 50 წლის მანძილზე 100 მილიონი ადამიანი გაიყოლა. მეორე პანდემიამ XIV საუკუნე „გადაძოვა“, მესამე კი XIX საუკუნეში ეწვია მსოფლიოს. ჟამიანობის ნაკვალევი უნდა იყოს ანატორის ჩონჩხებით სავსე აკლდამები ხევსურეთში, სადაც გადმოცემის მიხედვით, სნეულნი საძმო ძვალთშესალაგში სასიკვდილოდ თავიანთი ფეხით შედიოდნენ.

XX საუკუნეში შავი ჭირი მძვინვარებდა ინდოეთში.

მწვავე ინფექციური დაავადება **ქოლერა (ქართველნი ხორველად მოიხსენიებდნენ)** უძველესი დროიდან არის ცნობილი, ყრუდ ბიბლიაშიც კია ნახსენები. მისი ენდემური კერებია ინდოეთი და პაკისტანი. 1817-1926 წლებში ქოლერის ექვსმა პანდემიამ შემოურბინა მსოფლიოს. XX საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო მეშვიდე ეტაპი, სსრ კავშირში ქოლერის აფეთქებები მოხდა ყარაყალპაკეთში, ხორეზმში, ასტრახანში, ოდესაში, ქერჩში, მაგრამ მალე ჩააქრეს.

40 წლის წინათ მსოფლიომ ერთ-ერთი უმძიმესი დაავადება — **ყვავილის ინფექცია** სრულიად დაამარცხა. მას კაცობრიობა 3000 წელი ებრძოდა. მხოლოდ XIX საუკუნეში ყვავილისგან 300 მილიონი ადამიანი დაიღუპა. დღეს ვეღარ ნახავთ ყვავილის მსხვერპლ სახედაკენკილ-ჩოფურა ადამიანებს (სხვათა შორის, ჩოფურა იყო ი.ბ. სტალინი, რომელმაც ბავშვობაში გადაიტანა ყვავილი).

ახლა ეს **კორონავირუსი** დაგვატყდა თავს, როგორც გასული საუკუნის დასაწყისში **გრიპი „ისპანკა“,** რომელმაც ასიათასობით სიცოცხლე შეიწირა (სხვათა შორის, ბაბუაჩემი დარისპან კუტალაძე და მისი ძმა დიმიტრი ერთ დღეს გარდაიცვალნენ გურიაში, 1919 წელს)...

პანდემიებთან ბრძოლამ კარგად წარმოაჩინა სნეულებასა და სნეულთა მიმართ ქართველი კაცის დამოკიდებულება. ოდითგან: **ქართველი ავადმყოფს, ძირითადად, შრომის უნარს მოკლებულ ადამიანს უწოდებდა, ხოლო იმას, ვინც ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, მსუბუქი შრომაც შეეძლო — „ზერექვერეს“ („ზერე ქუერე სნეული არც წოლით იყოს, არცა მთლად“ — სულხან-საბა),** ავადმყოფი განსაკუთრებული მდგომარეობით სარგებლობდა, მასზე, ოჯახს გარდა, მთელი გარემომცველი საზოგადოება ზრუნავდა, ეხმარებოდა არა მხოლოდ მატერიალურად და ფიზიკურად, არამედ სულიერ განწმენდაშიც, სხვადასხვა კუთხეში არსებობდა სპეციალური სავედრებელი რიტუალები: **ლეჩხუმში — „ჯვარობა“, სვანეთში — „ყერიაში“, გურიაში — „ხატის აძვრა“, ხევსურეთში — „სამხვეწრო“** და სხვ. ისინი დანიშნულებით, შინაარსით, უმეტესწილად ერთნაირი იყო, ფორმით კი, რამდენადმე განსხვავებული... მთაში ხატ-სალოცავებში ტარდებოდა, ბარში — ეკლესიებში (ამის შესახებ საინტერესოდ წერს მკვლევარი ნინო მინდაძე სტატიაში „მკურნალი და პაციენტი ქართულ ტრადიციულ კულტურაში“ — სამეცნიერო კრებული „ისტორიანი“).

რამდენი რამ ითქვა ამ „გვირგვინავირუსზე“: სპეციალურად შეიქმნა ლაბორატორიაში და გამოექცათო, მასზე ასე გულისხეთქვით ლაპარაკი არ ეგების, უბრალოდ გრიპია და გააბუქესო, ესაო, ისაო... არადა, „ლაბორატორიიდან გამოქცეული“ კოვიდ-19 ხალხს დღემდე ცელავს „მაშრიყიდან მაღრიბამდე“, უფრო დამისამართებულად კი — ბრაზილიიდან იაპონიამდე და ამ ცელვა-თიბვას ჯერ ბოლო არ უჩანს, თუმცა პრეზიდენტმა ტრამპმა თითქოს სინათლე დაინახა გვირაბის ბოლოს...

ეს პლანეტას მოდებული ეპიდემია იმიტომაც არის ყოვლად უკუღმართი, რომ ადამიანთა განმხოლოებას მოითხოვს. ამან თავისთავად ბევრი სირთულე და უცნაურობა გააჩინა. მაგალითად, მალაიზიაში ორთვიანი კარანტინის შემდეგ... ტყავის საქონელი დაობდა. ასეთი რამ ადრე არასოდეს შეუმჩნევიათ. ადამიანები სახლებში ჩაიკეტნენ და კარზე ზარის რეკვაზე ფანჯრებიდან შიშნეულად იჭყიტებიან. შეხვედრისას არც ხელს ართმევენ და არც სალაპარაკოდ უჩერდებიან ერთმანეთს. პანაშვიდებზე რიგები გაქრა, ხალხმრავალი ქელეხები დავიწყებას მიეცა. გამორიცხული არ არის, რომ ამ სამახსოვრო დღეებში ვითარებისდა შესაბამისად შეთვისებული სიახლენი შემდეგშიც შემოგვრჩეს საურთიერთობოდ...

როგორც კი ცოტათი მაინც შეიმსუბუქეს ეპიდემიის ზეობის დროს დაწესებული დრაკონული წესები, თავისუფლებას დანატრებულმა ადამიანებმა თავი აიშვეს, იმდენად, რომ, მაგალითად, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა პოლიციის პრეფექტებს მიმართა, აკრძალონ პარიზში მდინარე სენას და სენ-მარტენის არხის სანაპიროზე ლუდის და ღვინის საჯაროდ სმა...

დაკვირვება გვიჩვენებს: სანამ პანდემია ახალი ხილი იყო, მან საფუძვლიანად დააფრთხო საზოგადოებრიობა. პოლიტიკური ბრძოლის კოცონი უმალ მინელდა, ყველა ჯურის პოლიტიკოსებმა განგაშის გონგის პირველ შემოკვრაზევე სახლებს შეაფარეს თავი და საგულდაგულოდ ჩაბუდდნენ. ეს მასობრივი, სიმპტომური მოვლენა იყო.

მერე მოხდა მოულოდნელი და ზეგარდმო რამ: ქართველმა ექიმებმა სწორედ რომ დიდგორი მოუწყვეს შემოჭრილ სენს, ევროპულ-ამერიკულად გაშლა-ჩაღრმავების საშუალება არ მისცეს. ჯერჯერობით ჩვენი მთავრობა და მედიკოსები ღირსეულად ახერხებენ ქვეყნის დაცვას, უმალ აიტაცეს მკურნალობის ყველა სიახლე. გამოჯანმრთელებული პაციენტის სისხლის პლაზმის კრიტიკულ პაციენტებზე გამოყენების შემთხვევებიც არის.

ამას მოჰყვა ის, რაც სადღაც, გულისგულში, ისედაც მოსალოდნელი იყო: **როგორც კი დიდი საშიშროების გადავლა ივარაუდეს, ჩვენი პოლიტიკოსები პანდემიური ძილისგან გამოფხიზლდნენ და ელდა ეცათ: დარწმუნდნენ, რომ ვირუსთან წარმატებულმა ბრძოლამ ერთობ განამტკიცა ხელისუფლების პოზიციები, ამდენად, — მომავალ არჩევნებში გამარჯვების რეალური შანსიც. ჰოდა, კოჭებში გაპარული სული მოიბრუნეს და ყალყზე შედგნენ.**

ჯერ კიდევ მაშინ, როცა გიორგი გახარიამ მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა წარმოადგინა, პრემიერ-მინისტრს პირი არც ჰქონდა დამუწული, რომ უმალ ეტაკნენ ყელში სიმართლესთან მებრძოლი ჩვენი ნაფიცი ოპოზიციონერები.

8 მარტის „მიუნხენის პაქტის“ ახლებურად წარმოჩენის ჯერიც დადგა. ნათელაშვილის „ავგიას თავლაში“ მძვინვარე შეკრებები დაიწყო, თუ როგორ შეიჭამოს „ქართული ოცნება“ — ტყემლით თუ უტყემლოდ. ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციამ პირველი ეტაპი მოიგო: „პოლიტიკური პატიმრების“ გათავისუფლებას მიაღწია. „ოცნება“ დაუძვრა უცხოეთიდან დაგებულ ხაფანგს: პრეზიდენტი ზურაბიშვილი, როგორც იტყვიან, მშვიდობისმყოფელად მოევლინა ერთმანეთთან დაძგერებულ სამწყსოს. **ისე კი, მართლაც საკვირველია, რატომ იხდის „ოცნება“ ასე ხშირად უკვანტავს საკვანტავად? იქნებ ამჯერად მაინც დროზე ამოსდოს ალიკაპი აღავღავებულ ნაცებს მესამე „პოლიტიკური პატიმრის“ — ყოფილი მძვინვარე მხედრიონელის გიორგი (ჟორიკა) რურუას ჯდომა-არჯდომასთან დაკავშირებით, თორემ ბატონების რიშის და კინზინგერის მსგავსი მგზნებარე გულშემატკივრები ამერიკის გარდა ევროპაშიც ბევრი ჰყავს ჩვენს ოპოზიციას და თითო მოთხოვნა-მოწოდება-ინსტრუქციას კვლავაც არ დაგვამადლიან.**

ჰოდა, ამ კორონავირუსის გადამკიდე, რომლის მეცხრე ტალღიდან წარმატებული გამოცურვა უკვე დავიწყეთ, შემოდგომაზე კვლავ აჭყვიტინებულ-აღრიანცებული არჩევნები გვინდა?!

ოღონდ ეს კია: ნაცოპოზიცია, თავისი დასმენების შედეგად „იქიდან“ მოწოდებული თითისქნევია პასუხების გამო, ერთობ ყინჩად არის. „პოლიტპატიმარმა“ ოქრუაშვილმა აკი ვერ დამალა: **მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ბუნებრივად ვითამაშოთ „მშვიდობის მტრედების“ როლიო.** წარმოიდგინეთ, ამ მტრედმა ავტომატი რომ აიღოს ხელში... ის კი არა, ოპოზიცია პრემიერ-მინისტრის პოსტზე უკვე საკუთარ კანდიდატურასაც კი უსინჯავს ფხას. ოპოზიციის „ერთ-ერთი ლიდერის“ თაკო ჩარკვიანის მიერ გიორგი ვაშაძის კანდიდატურის შემოგდება შემთხვევით არ მომხდარა. თანაც ამ „შემოგდებას“ თვითონ „შემოგდებული“ ყოვლად მზადმყოფი და ენთუზიაზმით აღსავსე შეხვდა, მეო, სამჯერ მეტი რეიტინგი მაქვს, ვიდრე პრემიერ გახარიასო. აქ მან „მეუდუ პროჩემ“ ისიც გაიხსენა, რომ მას... მიშა ასახელებდა პრემიერად, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში მთლად თენგიზ სიგუას ალიკვალად „პრემიერული“ ციფრებით ჟონგლიორობა წარმოადგინა და ძალიან გაგვამხიარულა.

ოპოზიცია განსაკუთრებით კორონავირუსის წინააღმდეგ „ოცნების“ მტკიცედ დგომას უტევს, რამაც, სიმართლეს თუ თვალებში შევხედავთ, მართლაც უზომოდ აამაღლა „ოცნების“ და ხელისუფლების ავტორიტეტი საზოგადოებაში, იგონებს ათას სიბილწეს, აცხობს ჭორებს და ცილისწამებებს, მაგრამ ხვდება, რომ შედეგი ერთობ უღიმღამოა. ამაოა მათი თავგანწირული ცდა, როგორმე საზოგადოებას ანგარიშგასაწევ კაცებად წარმოუჩინონ თავი, მაგრამ მაინც იმად რჩებიან, რაც სინამდვილეში არიან — უწმაწური და ბოროტი ცილისმწამებებლები!

ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა პარლამენტში გამართულმა ორდღიანმა „კორიდამ“, როდესაც პრემიერი გახარია ტორეადორის ფილიგრანული ოსტატობით ირიდებდა დაღერებულ, საგანგებოდ ალესილ რქებს. გაცოფებულ ხარებად (როგორც მამად, ისე დედალ ხარებად) ქცეული ნაცები და ევრონაცები (რაც, კაცმა რომ თქვას, აბსოლუტურად ერთია, როგორც ურმის ბორბლით ორად გაყოფილი ფუნა. ეს შედარება ერთობ გაცვეთილია, მაგრამ ამ შემთხვევაში — ზუსტად მორგებული) ღმუოდნენ, ბღაოდნენ, სარქენად და საკბენად ეტანებოდნენ, ქვეყანას თვალში ნაცარს აყრიდნენ და საბოლოოდ გამოამჟღავნეს თავი, დაგვანახეს ნამდვილი სახე, თუ როგორ იჭაჭებიან მომავალი არჩევნებისთვის ქულების დასაწერად... და ამ დროს ფეხებზე ჰკიდიათ ქვეყანა და ხალხი.

ᲝᲚᲝᲜᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗ: ᲓᲘᲓᲘ, ᲓᲐᲡᲐᲜᲐᲜᲘ ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, „ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲛᲔᲓᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ. ᲓᲠᲝ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲐᲡ ᲔᲤᲣᲫᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲐᲡᲐᲬᲔᲕᲘᲐ ᲔᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ. ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲘᲗᲕᲚᲘᲐᲜ!

ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲝᲤᲝ ᲙᲘᲚᲐᲫᲔ „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡ“ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲛᲐᲗᲠᲐᲮᲔᲑᲡ

2012 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ **მომხდარ საქმეებზე პასუხისმგებლობა იმ პოლიტიკურ ძალასა და მის სხვადასხვა განშტოებებს ეკისრება, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, დარბაზში არ არიან. რომელიმე მათგანს ერთხელ მაინც რომ გამოეხატა სინანული იმ წარმოუდგენელი საშინელებისთვის, რაც მათ ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენს ქვეყანას დაატეხეს თავზე, მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი საზოგადოება იმდენად სულგრძელია, რომ რაღაც მომენტში მაინც აპატიებდა მათ ამას, —** ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ სოფო კილაძემ პარლამენტში განაცხადა.

„სამწუხაროდ, მათი მხრიდან, ისიც — ძალიან იშვიათად, ვისმენთ საუბარს ცალკეულ „შეცდომებსა“ და „გადაცდომებზე“. მოდით, აბა, იმ ადამიანებს, ოჯახებს ვკითხოთ, თუ დაარქმევენ წამებას შეცდომას, ან გაუპატიურებას — გადაცდომას?“, — განაცხადა სოფო კილაძემ.

ინფოდემია: მავნე სიტყვის უფრო გვეშინია თუ...

პანდემია და თვით-გადარჩენის ინსტინქტი

რა არის და როგორ მუშაობს „ინფოდემია“ კოვიდ-19-ის პირობებში? რატომ უკავშირებენ დეზინფორმაციას ადამიანების ჯანმრთელობას, ვაქცინას, 5G-ს, ლუგარის ლაბორატორიას? რატომ საუბრობენ ცრუ ინფორმაციის გამავრცელებლები ვაქცინის მავნებლობაზე?

ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია IREX-ის აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტ, ალექსანდერ დარდელი ინფოდემიის მექანიკაზე და მის წინააღმდეგ ეფექტურ მეთოდებზე „ამერიკის ხმას“ ესაუბრა.

— საქართველო რუსეთის დეზინფორმაციის სამიზნედ რჩება. დროთა განმავლობაში, შეიმჩნევა თუ არა ქართველ საზოგადოებაზე რუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის რეალური გავლენა?

— ჩვენ საქართველოსთან თანამშრომლობის გრძელი და წარმატებული ისტორია გვაქვს. ძალიან მოგვწონს საქართველოში ჩვენს პარტნიორებთან მუშაობა და ვაფასებთ მათ სიმამაცეს და თავდადებას ჯანსაღი ინფორმაციის წარმოების მხრივ.

ორი დაკვირვება მაქვს. პირველი ისაა, რომ საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის გრძელი ისტორია აქვს, რომელიც წინ უსწრებს საბჭოთა კავშირს. ამ ისტორიას რუსეთი ოსტატურად იყენებს მანიპულაციისთვის და ქართველი ხალხის წინააღმდეგ საკუთარი გეოპოლიტიკური ნარატივების შეფარულად გასავრცელებლად. ისინი ამბობენ, რომ კი, ნატოში გაწევრიანება გინდათ, მაგრამ შეხედეთ მას, ის ვერ მუშაობს. ევროკავშირი იშლება. რუსეთი კი აქაა. რუსეთი შეიძლება არ იყოს უნაკლო, მაგრამ რუსეთს ვერაფერს უზამთ და თან, ჩვენ საერთო ისტორია გვაქვს. ამის წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან რთულია, რადგან ეს ნარატივები ნოსტალგიას, კულტურულ კავშირებს უსვამს ხაზს. მათ წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ თავისუფალი მედიის, სანდო ინფორმაციის ხელშეწყობითაა შესაძლებელი.

მეორე დაკვირვება ისაა, რომ კრემლის შეთქმულების თეორიები ყოველთვის ძლიერ ემოციებს იწვევს, მაგრამ მათი გავრცელება საქართველოში ყოველთვის რუსული მედიის საშუალებით არ ხდება.

საქართველოში დეზინფორმაციას ხშირად კრემლის ადგილობრივი მოკავშირეები ავრცელებენ. ანუ არის შუალედური შრე და დეზინფორმაციის გავრცელება ერთი შეხედვით კრემლს არ უკავშირდება. ეს დაბნეულობას იწვევს და რუსული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს. ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა თავისუფალ მედიას, მათ შორის „ამერიკის ხმას,“ რომ ქართველ საზოგადოებას დასავლური ღირებულებები წარმოუდგინოს და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციით აჩვენოს, თუ რა როლს თამაშობს ამერიკა, ევროკავშირი, ზოგადად დასავლეთი საქართველოს სახელმწიფოებრიობის სიჯანსაღეში.

— დეზინფორმაცია ლუგარის ლაბორატორიას უამრავ შეთქმულების თეორიას უკავშირებს, მათ შორის, კორონავირუსის წარმოშობაზეც. გაურკვევლობის და დაბნეულობის დროს, რა არის ასეთი ცრუ ინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური გზა?

— მე დავიწყებდი ფაქტებით. ფაქტებს თუ შევხედავთ, საქართველო, სხვა ქვეყნებთან შედარებით, კოვიდ-19-ის კრიზისს თავს შედარებით მცირე ზიანით ართმევს. რატომ? იმიტომ, რომ საქართველო ევროპულ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელსაც ვირუსის გამოვლენის საშუალება ჰქონდა. ეს სწორედ ამ ლაბორატორიის გამო მოხდა, რომელსაც აქვს ცოდნა, ტექნიკური ბაზა, ჰყავს პროფესიონალი თანამშრომლები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მუშაობენ ქართველი ხალხისთვის. ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ ეს ინსტიტუტი უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის კოვიდ-19 წინააღმდეგ საკმაოდ წარმატებულ ბრძოლაში. შეთქმულების თეორიები მის დისკრედიტაციას ცდილობენ.

— საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე სანდო თუ არა, ყველაზე გამორჩეული ინსტიტუტის ეკლესიის ერთი ნაწილი რუსულ ნარატივებს იმეორებს ვაქცინასა თუ ზოგადად პანდემიაზე. რა რეკომენდაცია გექნებოდათ ისეთი საზოგადოებისთვის, როგორიც საქართველოა, სადაც სანდო ინსტიტუტები რუსული დეზინფორმაციის გავრცელებაში მონაწილეობენ?

— მსგავსი სიტუაცია, სამწუხაროდ, მხოლოდ საქართველოში არ გვაქვს. სხვადასხვა ვარიაციით, ის ბევრ ქვეყანაში მეორდება. რელიგიური ღირებულებები, მრწამსი, კულტურული კავშირები კრემლისთვის მწიფე თემებია დეზინფორმაციის გასავრცელებლად. თუმცა, მათ კრემლის მომხრე ადგილობრივი ჯგუფებიც მარტივად იყენებენ. კრემლი ცდილობს დასავლეთი გამოაჩინოს, როგორც გარყვნილების და ლიბერალურობის სათავე, რუსეთს კი აჩვენებს, როგორც საქართველოს ტრადიციული ღირებულებების, კულტურის მხსნელს. ეს სიცრუეა. საქართველოში შეთქმულების თეორიების დიდ ნაწილს სწორედ ეს ლაიტმოტივი აქვს.

მსგავსი დეზინფორმაციის წინააღმდეგ საუკეთესო წამალი განათლებაა. განათლების სისტემაში ინვესტიცია იმაში დასარწმუნებლად, რომ გვაქვს მეთოდები, პროგრამები და სისტემები, და გვყავს მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებს ნდობის ჩადებას ფაქტებზე, მონაცემებზე და მეცნიერებაზე დაფუძნებულ ინფორმაციაში ასწავლიან და აჩვენებენ, რომ მითებსა და შეთქმულების თეორიებს არ უნდა ენდონ.

— ისეთი კრიზისის დროს, როგორიც ახლა გვაქვს, თქვენი აზრით, რა არის მთავრობისთვის უფრო მოსახერხებელი — საზოგადოების მართვა, რომელიც ცუდად არის ინფორმირებული და რომლის მანიპულირებაც ადვილია, თუ მოსახლეობა, რომელიც ინფორმირებული, თუმცა შეიძლება კრიტიკულია მთავრობის მიმართ?

— პანდემია, იქნება ეს კოვიდ-19 თუ ნებისმიერი სხვა პანდემია კაცობრიობის ისტორიაში, ხალხსა და მთავრობას შორის ურთიერთობას, სოციალურ კონტრაქტს არ ცვლის. მთავრობას ყველაზე მეტად კრიტიკულად მოაზროვნე მოსახლეობა გამოადგება, რომელიც დეზინფორმაციას ამოიცნობს, მონაწილეობას მიიღებს საჯარო პროცესებში და მთავრობის მიერ პოლიტიკის შემუშავებას ხელს შეუწყობს. საბოლოო ჯამში, მთავრობა საკუთარ ხალხს უნდა ემსახუროს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთავრობას აკისრია პასუხისმგებლობა, რომ მოსახლეობის მიერ ზუსტი ინფორმაციის მიღებას ხელი შეუწყოს.

ყველაფერი მოქალაქეებს უკავშირდება. მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს საკუთარი მოქალაქეების მიერ ცრუ ინფორმაციის ამოცნობის სწავლას, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას. სიმბიოზური ურთიერთობა, საჯარო სექტორსა და მოქალაქეებს შორის საქმეს აადვილებს. ჯანსაღად, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეები მთავრობას ჯანსაღი პოლიტიკის შექმნაში და ინდივიდუალური უფლებების დაცვაში ეხმარებიან.

— IREX-მა ცოტა ხნის წინ კვლევა ჩაატარა, რომელიც აჩვენებს იმას, თუ როგორ მუშაობს დეზინფორმაცია პანდემიის დროს. შედეგებში სიტყვა „ინფორდემია“ გამოიყენეთ. რას ნიშნავს ის?

— აღმოვაჩინეთ, რომ პანდემიას და დეზინფორმაციას რაღაც საერთო აქვს. ეს გავრცელების ფენომენია. როგორც კორონავირუსი ვრცელდება, ადამიანებს ასნებოვნებს და ქაოსს თესავს, ასევე ვრცელდება დეზინფორმაცია და გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენას ახდენს. ამიტომაც ამ ფენომენს „ინფოდემია“ დავარქვით.

— თქვენი გამოკითხვების დროს, ჩანს თუ არა ის, რომ ფაქტებზე დაფუძნებული, თავისუფალი ჟურნალისტიკა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია?

— ეს კარგი კითხვაა. პრობლემა ისაა, რომ მცდარი ინფორმაციის ზღვაში ვცხოვრობთ. ცრუ, მავნე ინფორმაცია, მსმენელის და მაყურებლის დასაბნევად გამოიყენება. ყოველდღიურად, მსოფლიოში გავრცელებული ინფორმაციის რაოდენობა კონგრესის ბიბლიოთეკაში შენახული ინფორმაციის მოცულობას 250 000-ჯერ აღემატება. ამ ინფორმაციის უმეტესი წილი რიგითი ადამიანებისგან მოდის, სოციალური მედიით, ტვიტერით და ა.შ. თუმცა ამ ინფორმაციის ერთი ნაწილის მანიპულირება ხდება. ამ კონტექსტში რაღაცაა გასაკეთებელი, ეს საკითხი „კოვიდ-19“-მა წამოწია. ამ დიდი პრობლემის გადასაჭრელად, ცხადია, ბევრი მეთოდი გვჭირდება. მათგან ერთ-ერთი ტექნოლოგიაა.

ტექნოლოგიურმა პლატფორმებმა ინფორმაციის და დეზინფორმაციის უზარმაზარი მოცულობის გავრცელების საშუალება შექმნა. სწორედ ამიტომ ამ პლატფორმებმა უნდა შექმნას თავდაცვის პირველი ხაზი, რომელიც ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული მარტივი მექანიზმი იქნება და ცრუ ინფორმაციას გამოხშირავს.

თუმცა ეს საკმარისი არ არის. მხოლოდ ხელოვნურ ინტელექტს თუ დავეყრდნობით, აუცილებლად ყოველთვის დავმარცხდებით, რადგან ინფორმაციის საბოლოო მომხმარებლები ჩვენ ვართ, მე, თქვენ, ჩვენი თანამოქალაქეები. რაღაც ჩვენს გონებაში უნდა მოხდეს, რომ ამას აზრი ჰქონდეს. დეზინფორმაციის სამყაროში ნავიგაციისთვის საუკეთესო კომპასად ადამიანის გონება რჩება.

დამოუკიდებელი და ჯანსაღი მედია უაღრესად მნიშვნელოვანია. სინამდვილეში, უზარმაზარ საინფორმაციო ნაგავს საპირწონედ უნდა დავუყენოთ სანდო, ფაქტებზე დაფუძნებული, მონაცემებით გამყარებული ინფორმაცია და ეს სწორედ დამოუკიდებელი მედიის როლია. სამწუხაროდ, ბევრ ვითარებაში, ბევრ საზოგადოებაში, დამოუკიდებელი მედია საფრთხის ქვეშაა. ზოგ შემთხვევაში ეს მედიის ბიზნესის მოდელის რღვევას, ან სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი მედიის დევნას უკავშირდება. თავისუფალ მედიას დახმარება სჭირდება. მათი საქმე და მისია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე ყოფილა და გულწრფელად გეტყვით, გარემოებების გამო მათ ამ მისიის შესრულებას თავი არ უნდა დაანებონ.

— პანდემიის პირობებში იღებენ თუ არა ადამიანები ინფორმაციას განსხვავებულად?

— კრიზისის პერიოდში ადამიანებში თვითგადარჩენის ინსტინქტი ძლიერდება და შიში და ემოციები ბევრ ცუდ ფიქრებს იწვევს. უფრო მეტად დამოკიდებული ხდებიან ინფორმაციის წყაროებზე, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ. თუ ვინმე ისეთ წყაროს წააწყდება, რომელიც არაჯანსაღ, არასანდო ინფორმაციას ავრცელებს და ადამიანი ამ ინფორმაციას მოიხმარს, მას მსგავსი ინფრმაციის მიმართ დამოკიდებულება უჩნდება. ამის შემდეგ ადამიანი ეძებს მსგავს ინფორმაციას და მსგავს წყაროებს. ეს დაკავშირებულია კრიზისის პერიოდში არსებული შიშის და ემოციის მექანიზმთან. ამ დროს ადამიანებში საკუთარი თავის, ოჯახის, საზოგადოების, ქვეყნის თვითგადარჩენის ინსტინქტი მოქმედებს.

— არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ დეზინფორმაციის წინააღმდეგ ყველაზე ეფექტური გზა მედიაწიგნიერებაა. თქვენი აზრით, რა როლი აქვს მედიაწიგნიერების ამაღლების პროცესში მთავრობას?

— მთავრობებს დიდი როლი აკისრია, მაგრამ აქ ძალიან ფაქიზი მიდგომაა საჭირო. ჩვენ, ზოგადად, მთავრობებს ინფორმაციის ფართო ნაკადის მომწოდებლად არ განვიხილავთ. ეს მედიამ უნდა გააკეთოს. მთავრობას განვიხილავთ, როგორც ამ გარემოსთვის პირობების შემქმნელ ერთეულს, რომელიც ქმნის მარეგულირებელ სისტემებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ იყოს გამჭვირვალობა, სანდოობა, საიმედოობა.

მსოფლიოს თუ გადავხედავთ, მთავრობის მიერ თვალთვალის მექანიზმები იზრდება, იზღუდება თავისუფალი სიტყვა, შეკრების უფლება. ცდილობენ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააწესონ „ცუდ საქციელზე,“ რაც უკავშირდება საუბარს, რომელიც პანდემიის და „კოვიდ-19“-ის გარშემო ტრიალებს. ამის საკანონმდებლო დონეზე გატანის მაგალითები ვნახეთ სომხეთში, მონტენეგროში, სერბეთში და სხვაგან. ეს ტენდენცია შეინიშნება და ის შემაშფოთებელია. საბოლოოდ, ეს ყველაფერი, მოქალაქეების, სამოქალაქო საზოგადოების, ჯანსაღი პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობას უკავშირდება, რათა ჩვენი უფლებები ბოლომდე არ დავთმოთ და ამ სივრცეში სწორი ბალანსი შევინარჩუნოთ.

ესაუბრა
ია მეურმიშვილი

ქართულმა დიასპორამ ზუგდიდელთა ოჯახები დაასაჩუქრა

ირლანდიის ქართულმა დიასპორამ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, სასურსათო პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების კალათები გადასცა. როგორც ზუგდიდის მერიაში აცხადებენ, აღნიშნული სასაჩუქრე კალათები, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე კონსტანტინე კაკავამ, ირლანდიის ქართული დიასპორის წარმომადგენელმა ნანა თავდუმაძემ და საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ქადარიამ, ერგეტასა და ცვანეში მცხოვრებ რამდენიმე ათეულ ოჯახს გადასცეს.

„მადლობას ვუხდი ირლანდიის ქართული დიასპორის საბჭოს და მის უშუალო ხელმძღვანელობას. ვიმედოვნებ, რომ მსგავსი ერთობლივი აქციებით ჩვენ შევძლებთ მოსახლეობის დახმარებას და პანდემიით გამოწვეული ვითარების შემსუბუქებას“, — აღნიშნა კონსტანტინე კაკავამ.

მუნიციპალური განვითარების ფონდის საეჭვო ტენდერები

გოქსელ გენჩი თურქი „ოსტაპ ბენდერი“?

ვისაც წაუკითხავს გამოჩენილი სატირიკოსების ი. ილფის და ე.პეტროვის რომანები მოთაღლითო, მოაფერისტო ოსტაპ ბენდერის თავგადასავლებზე, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, ვფიქრობ, შეატყობს მსგავსებას ჩემი დღევანდელი „გმირის“ – თურქი ბიზნესმენის გოქსელ გენჩსა და ლიტპერსონაჟ – ოსტაპ ბენდერს შორის. ამ ორ ადამიანს, ერთს რეალურს, მეორეს კი გამოგონილს სულიერად აკავშირებს ეთემერული ფირმების რეგისტრაცია-გაუქმება. ოსტაპ ბენდერის შემთხვევაში იყო კანტორა „რქები და ჩლიქები“, ხოლო გოქსელ გენჩის „რქებს და ჩლიქებს“ წარმოადგენს სამშენებლო ფირმა „გენჩ ინშაათი“.

ჩვენ შევეგუეთ არა მხოლოდ აბორიგენი თაღლითების მოღვაწეობას, არამედ უკვე უცხოელი თაღლითების თარეშსაც „საწყალ“ საქართველოში... ადამიანთა ამ კატეგორიამ, როგორც შინნაზარდებმა, ასევე მობრძანებულებმა, რომლებსაც აქვთ არც თუ ისე კეთილშობილური მიზანი საზოგადოების ხარჯზე ცხორებისა, არათუ საერთო ენა გამონახეს, ჩაეხუტნენ ერთმანეთს.

ამით ზარალდება ქვეყანა, ვზარალდებით ჩვენც. ამიტომაც სასწრაფო ზომებია მისაღები, რომ გამოვააშკარაოთ ეს ცხოვრებისეული პერსონაჟები, მზის შუქი მოვფინოთ მათ მავნებლობას, დამატებით, მათი მფარველების ვინაობას.

დავიწყოთ ბატონ გოქსელ გენჩის „რქებით და ჩლიქებით“ – სამშენებლო ფირმა **„გენჩ ინშაათით“**. ბატონი გენჩის ინფორმაციით, მისი ფირმა შექმნილია 1953 წელს მამამისის – საფეთ გენჩის მიერ და იმ დროიდან დაკავებულია თურქეთის აღმშენებლობით. მეტიც, ფირმა აშენებს არა მხოლოდ თურქეთს, ერაყსაც. აქ ბატონი გოქსელი ცრუობს. სინამდვილეში მისი ფირმა დარეგისტრირებულია 1976 წლის 8 მარტს და მისი გაჩენა ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს დაემთხვა.

რაში დასჭირდა მას ეს ტყუილი, ჩემთვის გაუგებარია. ვივარაუდებ: ალბათ, მეტი ხანდაზმულობა მეტ სოლიდურობას მატებს ფირმას.

მე, რა თქმა უნდა, დავუკავშირდი ჩემს თურქ კოლეგებს, რომლებსაც არაფერი სმენიათ ამ ფირმაზე და, ბუნებრივია, არაფერი ახსენდებათ მისი აშენებული. თუმცა, მომაწოდეს ინფორმაცია, რომ „გენჩ ინშაათის“ სახელწოდების ფირმები საკმაოდ მრავალრიცხოვანია თურქეთში. ერთ-ერთის მფლობელი ბატონი აქსინ გენჩი მართლაც სერიოზული მშენებელია. მისი „გენჩ ინშაათი“ ამშვენებს თურქეთის კურორტ ბოდრუმს თვალშისაცემი შენობებით; ბატონ აქსინსაც ყურიც არ მოუკრავს თავისი მოგვარის საქმიანობაზე.

აქ მკითხველს მოვახსენებ, რომ ვაწარმოებ ჟურნალისტურ გამოძიებას ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ბატონი გოქსელ გენჩი ფიგურირებს, როგორც მთავარი დაზარალებული. ჰოდა, ამ საქმის პროკურორი, ქალბატონი **სალომე ჩიქობავა** სასამართლო პროცესებზე შეპასუხებას რომ ვერ იტანს, აცხადებდა: გოქსელ გენჩის „გენჩ ინშაათმა“ ნახევარი თურქეთი ააშენაო. ამ განცხადებით დავინტერესდი გენერალურ პროკურატურაში, თუ რას ეყრდნობოდა მათი თანამშრომლის ეს „უაპელაციო ინფორმაცია“, რაზეც ორი პასუხი მივიღე. **ერთი** თავად ქალბატონ ჩიქობავასგან, რაც არა მხოლოდ იურიდიულ ეთიკას, არამედ კანონსაც ეწინააღმდეგება, რადგან დაუშვებელია, მიპასუხოს იმ პირმა, რომლის განცხადებებში ეჭვი შევიტანე, **მეორე** კი, მისი ხელმძღვანელის, **ალექსანდრე მუყასაშვილისგან**. ბატონმა ალექსანდრემ კანონის მუხლების და ქვეპუნქტების მითითებით შემატყობინა, რომ მე არ ვარ მხარე და ამიტომ, მის მიერ ჩემთვის ამგვარი ცნობების მოწოდება შეუძლებელია. ჩემმა თურქმა კოლეგებმა არ დაიზარეს და მოძებნეს ქალაქ ანკარაში „ნახევარი თურქეთის აღმშენებელი“ ფირმის გისოსებში მომწყვდეული ოფისი. მის კარებს „ჟანგიანი ბოქლომი“ ადევს, რაც მეტყველებს, რომ ამ დაწესებულების კარი უკვე „საუკუნეა“ არავის გაუღია. ეს მისამართი მითითებული აქვს ბატონ გენჩს თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე; სასამართლო მასალებში კი „გენჩ ინშაათის“ მისამართი სულ სხვაა:თურქეთი, ქალაქი ანკარა, რაიონი ილდიზი, ქუჩა-მასივი 606, ბინა 22. სინამდვილეში ეს მისი საცხოვრებელი სახლის ადგილმდებარეობაა და შეუხედავი, ჩაგისოსებული ოფიციალური ოფისის შენობასთან შედარებით, ბატონ გოქსელის სახლი სულთან სულეიმანის სასახლედ მოგეჩვენება. აღსანიშნავია, რომ თავისი სავარაუდო თაღლითობის მსხვერპლნი ბატონ გოქსელს საკუთარ საცხოვრებელში მიჰყავდა, რათა არავის ეჭვი არ შეჰპარვოდა მის რესპექტაბელურობაში. წარმოიდგინეთ, ბატონ გოქსელ გენჩს თავისი „ნახევარი თურქეთის აღმშენებლის“ ფილიალი თბილისშიც ჰქონია, რაზეც იტყობინება მისი ფირმის ოფიციალური საიტი: ქალაქი თბილისი, პავლე ასლანიდის ქუჩა 34. ანკარის გისოსებში ჩარაზულ სათაო ოფისთან შედარებით, „გენჩ ინშაათის“ თბილისური ფილიალის კანტორა, სულ ცოტა, სულთან სელიმის ჰარამხანის ნაგებობასთან ასოციაციას იწვევს. აგურით ნაშენები დიდებული სახლის ტერასა ყვავილებშია ჩაფლული. ფხიზელი საჭურისების როლს აქ ე.წ. ვიდეოთვალები ასრულებენ. მაგრამ კვლავ გაუგებრობა, დაბნეულობა.

ჟურნალისტური გამოძიება

უახლოეს მეზობლებსაც კი წარმოდგენა არ აქვთ, ვისია ეს სახლი. მეპატრონე თვალით არავის უნახავს. – მუდმივად აქ არავინ ცხოვრობს. ძალზე იშვიათად ვიღაცები მოდიან და მიდიანო, ეს არის მეზობელთა პასუხი. ბოლოს, გავარკვიე, რომ სახლის მეპატრონეა ვინმე ირინა ბასილაძე. საოცარია, ასეთი შთამბეჭდავი სახლი რატომაა „დაუსახლებელი“; აქაც ხომ არ იმეორებს ბატონი გენჩი ნაცად ანკარულ ხრიკს, აქაც ხომ არ მოჰყავს ახლად შეძენილი საქმიანი პარტნიორები, ამ ოფისის შემხედვარეთ, ეჭვი რომ არ გაუჩნდეთ მისი, გენჩის, სანდოობაში?

რა აკავშირებს ქალბატონ ბასილაძეს ისეთ საეჭვო ადამიანთან, როგორიცაა გოქსელ გენჩი, რომელიც არათუ ფილიალებს კეტავს საშვილიშვილოდ „ჟანგიანი ბოქლომებით“, არამედ ცენტრალურ ოფისსაც?...

ახლა კი ყველაზე დიდ, ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, გულისსატკივარზე; აი, ეს სავარაუდოდ თაღლითური საქმეების „მაესტრო“ იღებს მონაწილეობას **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მოწყობილ ტენდერებში**.

მაგალითისთვის, 2016 წლის 3 თებერვალს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადდა ორეტაპიანი ტენდერი. სხვა კომპანიებთან ერთად ამ ტენდერში აქტიური მონაწილეობა მიიღო გოქსელ გენჩის „გენჩ ინშაათმა“. ტენდერის პირობების შესაბამისად, მასში მონაწილე ფირმებისთვის სავალდებულოა, წარადგინონ რომელიმე სოლიდური ბანკის საგარანტიო წერილი, ან ნაღდი ფული „დაუდონ მაგიდაზე“ სატენდერო კომისიას. რასაკვირველია, ნაღდი ფული ბატონ გენჩს არ გააჩნდა, სამაგიეროდ, გარანტორად დაასახელა ერაყული ბანკი **„ჩექინ ზუ“**. როცა „ნახევარი თურქეთის აღმშენებელი“ გოქსელ გენჩი ავსებდა სატენდერო დოკუმენტებს, იქ ხომ მითითებული იყო, რომ ერაყი არ შედიოდა აზიის განვითარების ბანკის წევრ ქვეყნებში, აქედან გამომდინარეკი, მას უნდა სცოდნოდა, რომ ერაყული ბანკის წარმოდგენა თავისი ფირმის გარანტად ამ ფირმის დისკვალიფიკაციის უტყუარ გარანტიას ნიშნავდა.

ტენდერი სახუმარო არ იყო – თბილისი-წითელი ხიდის გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაცია, რომლის ღირებულება 110 მილიონ ლარს შეადგენდა!

რა სასწაულს ელოდა ტენდერიდან გაძევებული თურქი ბიზნესმენი, როცა მოინდომა ტენდერში დაბრუნება და გამარჯვება ?! ბოლოს და ბოლოს, ბატონმა გენჩმა ყველაზე უკეთ იცოდა, რა სამშენებლო პოტენციალის ფირმის მფლობელი იყო, თავისი არარსებული ერაყული ბანკით. საკვირველია, რატომ არ დაინტერესდა პროკურორი სალომე ჩიქობავა ამით?!

ეს, სხვათა შორის, მისი პირდაპირი მოვალეობა იყო! და რომ დაინტერესებულიყო, მაშინ უთუოდ ვერ განაცხადებდა სასამართლო სხდომებზე შეპასუხებას ზედმეტად ნერვიული ტონით: „გენჩ ინშაათმა“ ნახევარი თურქეთი ააშენაო.

რასთან გვაქვს საქმე? პროკურორის დაბალ კვალიფიკაციასთან, სამსახურებრივ გულგრილობასთან, ზემდგომი პირების მითითების შესრულებასთან, თუ კორუფციულ სქემასთან?...

კითხვები ბევრია, რომელზეც პასუხი გასაცემი აქვს არა მხოლოდ გენერალური პროკურატურის გენინსპექციას, არამედ მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელობასაც. კერძოდ, რატომ არ შეატყობინა „მგფ“-მა სათანადო ორგანოებს, რომ ტენდერში მონაწილეობდა თურქული კომპანია „გენჩ ინშაათი“, რომლის ქმედებაში აშკარად გამოიხატებოდა თაღლითური ელემენტები? არარსებული ერაყული ბანკის საგარანტიო წერილი მათ ამის საშუალებას ხომ აძლევდა ? ფონდი ხომ ვალდებული იყო წარმოდგენილი ყველა დოკუმენტის ავთენტურობა გადაემოწმებინა. მით უფრო, თუ საძმე გაქვს უცხოურ კომპანიებთან. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო დოკუმენტაცია უცხოური ბანკებიდან. ამიტომაა მითითებული „მგფ“-ს დებულებაში, რომ სანამ კომისია დაიწყებს მუშაობას და გადაწყვეტს, ტენდერში რომელმა კომპანიამ უნდა გაიმარჯვოს, ყველა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა გადამოწმდეს, რათა დადასტურდეს მათი ავთენტურობა. აშკარაა, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდმა ეს არ გააკეთა, ან გააკეთა, გადაამოწმა, მაგრამ, მიზეზთა გამო, არ აცნობა სამართალდამცავ ორგანოებს.

2018 წელს ჩატარებულმა ტენდერმაც გამაოცა. მონაწილეთა შორის კვლავ აღმოჩნდა გოქსელ გენჩის „გენჩ ინშაათი“. არა, „ნახევარი თურქეთის აღმშენებელმა“ ტენდერი ვერ მოიგო და ვერც მოიგებდა; გაიმარჯვა ქართულმა „სერპანტინმა“. სულ შემთხვევით წავაწყდი ამ ინფორმაციას, რომელმაც დამიდასტურა, რომ გოქსელ გენჩს ახლო ნათესაური თუ არა, საქმიანი ურთიერთობა აქვს მგფ- ის ხელმძღვანელობასთან. ვფიქრობ, „მგფ“-ის მიერ გამართულ „ქორწილებში“ (ტენდერებში) გოქსელ გენჩის ფირმას „საქორწინო გენერლის“ როლი აკისრია; უფრო მარტივად, ფორმალური კონკურენტის როლს ასრულებს და ამარჯვებინებს ტენდერებში მუნიციპალური ფონდისთვის სასურველ კომპანიებს. ა, ბატონო, კონკურენცია, ა, ბატონო დემოკრატია, ა, ბატონო გამჭვირვალობა!..

მსგავსი ფორმალობები და საეჭვო გარიგებანი ნამეტნავად უტეხს სახელს ისედაც გაფარჩაკებულ თანამედროვე ქართულ საბაზრო ეკონომიკას!

გიორგი კორძაძე

თურქეთის არალეგალი მოქალაქეები გაჩხრიკეს. ამოღებულია 4 ცეცხლსასროლი იარაღი!

ბათუმში **არალეგალურად გადმოსულ თურქეთის მოქალაქეებს გუშინ გვიან ღამემდე ჰკითხავდნენ. სახელმწიფო უსაფრთოების სამსახურის ცნობით დაკავებული 9 პირის საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას ოთხი ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. დეტალებზე კი უფლებადამცველები არ საუბრობენ. მათი თქმით, მოგვიანებით გაირკვევა ყველაფერი. დაკავებულების აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლომ გუშინ იმსჯელა. გამოძიება მათ საქართველოს საზღვრის უკანონო გადაკვეთას, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვასა და ტარებას ედავება. შეგახსენებთ, ბათუმში საზღვრის უკანონო გადაკვეთის ფაქტზე ცხრა პირი ერთი დღით ადრე დააკავებს.**

ᲒᲐᲜᲒᲔᲯᲘᲗ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ, უძველესი კოლხურ-იბერიული ხასიათ-ჟინ-შემართების და სრულყოფილი, სიმართლის ნებისმიერი დროის მწერალთაგან, ბევრად განსხვავებული ნიჭით — უფლისმიერობაა და მისტიკურ-მითოლოგიური უტეხი მცნების, უსაზღვროდ შეუვალი ნაღდქართველური ზნეობრივი გენის ჭეშმარიტი წმინდანური გაგრძელებაა...

გავა ჩვენი უბერებელი პლანეტის ათასეული წელი და ამჟამად მოქმედ აღმსარებლობებს კოსმიური უფლისმიერობით ჩაენაცვლება ზეკანონებიდან გამომდინარე, დროისთვის მონათესავე რელიგიები, რომელთა სიახლე ცივილიზაციათა და ვარსკვლავეთის ურთიერთგავლენით მიახლოებითი რწმენითი სახე იქნება; ხოლო განუმეორებელი ხელოვანნი: შოთა რუსთველი, ვაჟა-ფშაველა, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი და სხვა რამოდენიმეთ უნიკალური ქმნილებანი, ჰომეროსისა არ იყოს, მარადიულობას გადაბარდება, რადგან უსასრულობის ფერ-ხმა, აზრთუკვდავების განმვრცობნი არიან და იქნებიან...



შემოდგომის მზით გასხივოსნებული კვირა დღეა. დილიდანვე მოვემზადე. დაახლოებით თემას, მოტივს როგორც მიესადაგება, იმდაგვარი სასურათე ფორმატი ავირჩიე. „ეტიუდნიკი“ მხარზე გადავიკიდე და ქათქათა, თეთრი სახატავი ტილოთი ხელში, გავემართე ურთულესი ამოცანის შესასრულებლად. დღეს ქარი არცერთი მხრიდან არ ქრის და ედემის ბაღში მგონია თავი, წყნარი ამინდია, მზიანი, საამო ნატვრას მოყოლილი...

მე, როგორც სენაკელ-ძველსენაკელს, პლენერზე მუშაობისას ძვალსა და რბილში გამჯდარი მაქვს შიშნარევი ფიქრები აღმოსავლეთის უძლიერესი, სულის შემძვრელი ქარისა...

სხეულითა და სულ-გულ-გონებით გარინდული ვდგავარ კოლხური კოშკის ზღაპრისმიერ კარიბჭესთან და ვერ გადამიწყვეტია გვერდით ბოძზე, ელექტრობარის ღილაკზე თითის დაჭერა; ვინ იცის, როგორ პასუხს მივიღებ-მეთქის სიფრთხილით. ამ დროს მარცხენა მხარეს მეზობლის რკინის კარი მოულოდნელად გაიღო და დიასახლისის საცრით ხელში, მსახიობი **თათია ხაინდრავა** გამობრძანდა, ბატონი კონსტანტინეს დისშვილი. პირადად დიდი ხანია, ვიცნობდი, რუსთაველის დრამატული თეატრის შესანიშნავმა მსახიობმა, ზეინაბ ბოცვაძემ, ქართული კინოს ერთ-ერთმა ვარსკვლავმა, ხელოვანთა შემოქმედებითი საღამოს შეხვედრაზე გამაცნო; სუფრასთანაც ვმსხდარვართ ერთად და სათნო თათიას სადღეგრძელო რომ წარმოვთქვი, თხრობითი ტექსტის თუ ლექსის კითხვისას თვითმყოფადი ხმა, მომნუსხველი ინტონაცია თავისი შერბილებული მხატვრული საამო ტონალობით აგრე საინტერესოდ გავურჩიე და აღფრთოვანდა მსახიობი, სახის მხიარული გამომეტყველებით მეუბნება: – ბატონო რეზო! ერთხელ გალაკტიონმაც იგივე მითხრაო. თათიასგან ყოველივე თქმული ჩემთვის დიდი ქება გახლდათ. ადამიანის გული ზღვაა და მაინც გამკრა ცისფერმა ხმამ, განსხვავებული ხელოვნების გამონათების ხილვა რომ დამასწრეს. თბილად მივესალმეთ ურთიერთს და: – საით გაგიწევია, მხატვარო? – მეკითხება. – თათია მშვენიერო! საგამოფენოდ ბატონი კონსტანტინეს კოლხური კოშკის დახატვა მინდა-მეთქი. წინადადება როგორც კი დავამთავრე, უმალ ჭიშკარი გააღო. – შემოდი, გენაცვალე, სადაც გინდა დადექი და ხატეო. სიხარულით აღვსილმა მადლობა გადავუხადე უკეთილშობილეს მსახიობ ქალბატონს, შექებითაც შევამკე და ღიმილით გავემართე აღმოსავლეთით, ქვითკირის თეთრ გალავანთან, დიდი, ბებერი ხის ქვეშ. მშვიდობიან ჩრდილოვან ადგილას შევჩერდი, „ეტიუდნიკი“ გავმართე, სახატავი ტილო დავაყენე და დავიწყე ნანატრი კოლხური კოშკის მთლიანი ხედის ხატვა, თან ჩემთვის დავილაპარაკე: – თათია რომ არა?! მოკლედ, დღეს გამიმართლა. ამასობაში ეზოს კანონიერი ბინადარი, ულამაზესი შველი, წამლისფერ-თეთრებში გაწყობილი, კოხტად მოხატული დრუნჩით, აცქვეტილ-წაწვეტებული ჩამუქებული ყურებით, ნუშისფერი, კეთილი რბილხედვითი თვალებით, რითაც მთელი მისი არსება იმზირებოდა, სასიამოვნო სიზმარივით გამომეცხადა და ჩემსკენ წამოცუნცულდა უწვრილესი ფეხ-შავი-შუა გაყოფილი კოხტა ჩლიქებით, წიიიპ-წიიპის უნაზესი ხმის გამოცემით და მშვიდი სიფრთხილით მომიახლოვდა, კეთილი სულივით, წინ დამიდგა და ღვთისნიერი ნდობით მიყურებს.... თან ვფანტაზიორობ: ბატონი კონსტანტინეს შინაგანი სამყაროს იდუმალ განწმენდილი სივრცე დაჰყვება ამ ბუნების სიმდიდრე არსებას-მეთქი...

გარკვევით ვამჩნევ, კოშკზე მიდგმულ გემივით სახლში, ფანჯრებს შიგნით, ადამიანთა ლანდები მოძრაობენ. სხვადასხვა ხეხილით გაშენებულ ეზოში საოცარი, მონასტრისეული სიწყნარე და სიმშვიდეა. მხოლოდ დამოუკიდებელი ნაფერები შველი მოძრაობს, ზოგან მწვანე, ნორჩ ბალახს წიწკნის. ეზოში ნელი ნიავიც არ ქრის, თითქოსდა ეკლესიის საკურთხევლის სუნიც სუფევს ყველგან. ცაზე გუნდებად ბეღურების მხიარული გადაფრენაა და ალვის ხეებს მარდად გადაუვლიან. კოშკის ვეებერთელა ჭადრების ჩრდილოში კი, თეთრი, ცისფერი მტრედები ლაღად დაფარფატობენ. ტილოზე შეუჩერებლივ ფუნჯ-ფერებით ვწერ და ფიქრები ისევ მეახლა, რომელთა შეჩერება ჩემთვის შეცდომა იქნებოდა.

ქართული ეროვნული აზროვნების მოვლენა, იდუმალ შემოქმედი, ბატონი კონსტანტინე, დაწრიტა და დალია თავის მიერვე ხატულმა უძლიერესმა ნაწარმოებებმა, ინდივიდ-თვითმყოფადმა ეპოქალურმა მძაფრხასიათიანმა გმირებმა და შეეწირა კიდევაც განუყრელ ღვიძლ პირმშოებს. ვუმადლოდეთ უფალს, მათმა სიდიადემ და უზომო მაღალმხატვრულმა ემოციებმა მაესტრო ჭკუიდან რომ არ შეშალეს. მაგრამ უფსკერო, წარმოსახვების მისტიკოს-მშფოთვარე მოვლენა შემოქმედი, შინაგან-გარეგანი ნერვებტოკვითი ხასიათით თანამედროვე მწერალთაგან მკვეთრად განსხვავდებოდა, ხშირად უცნაურ ხასიათსაც ამჟღავნებდა, რომელიც უზარმაზარი ნიჭ-ბუნების რხევისმიერობა გახლდათ...

ვხედავ, სასახლის აღმოსავლეთით ჩემს მხარეს. საფრანგეთის ასაკოვანი, მეფის კარდინალივით, კონსტანტინე ბატონი, მოულოდნელად ნელი ნაბიჯით გამობრძანდა, სუსტი, საშუალო, ხმელი ტანაღნაგობის, გაკრიალებული ცისფერი, იაპონური ხალათით და თავზე კოხტად მოხურული, შავი კახური ქუდით; თითქმის უძრავი, კოლხური უძველესი, ჩაუამული თეთრასფერი სახით. დინჯად და დაკვირვებით მიყურებს, უმალ ხატვა შევწყვიტე და გაოგნებული ვდგავარ, გულ-მკერდზე მარჯვენა ხელმიდებულმა, წელში მოხრით, ძველოდიშურად უხმოდ მივესალმე – მორიდებით. რა გვარისა ხარ, ყმაწვილო! თითქმის დაჭიმული ხმით დამიძახა. ადამია გახლავართ, ბატონო! მივუგე. გასაგებია! წარმოთქვა და კოშკის ჩრდილოეთის დიდი კარიდან სახლში მოციქულივით შეგრძანდა. ვგრძნობ, რომ აუცილებელია და ჩქარი მანერით ვმუშაობ. დრო ძვირფასი გადის. ჯიუტი აწმყო არაფერს არ გვპატიობს და არცა თმობს. სურათი, სადაცაა მთავრდება. აწ კი, ჩემზეა დამოკიდებული, თუ საჭირო იქნა, დამამთავრებელი, ფერ-ლაქების ფორმათ-ხაზების დროულად მოხმობისა... შემდეგ ვხედავ, სამუშაო დღე, საგრძნობლად იწურება; უცილოდ ღვთიურმა მასპინძლებმა იგრძნეს მოახლოებული დრო, ხატვის დამთავრებისა და **ქალბატონი მირანდა**, მეუღლე დიდი მაესტროსი, წინ თეთრი, ხალათ-აკრული, მოვარდისფრო ყვითელფოთლებიანი, თავსაფრით და ჩმიდანური, სანდომიანი სახის მზერით ჩემსკენ მოდის, მომიახლოვდა, თბილი ღიმილით მომესალმა და სადილზე წამობრძანდით, ბატონო! კონსტანტინე გეპატიჟებათ: გთხოვთ, მოხუცს არ აწყენინოთ! ამ სიტყვებით მომმართა, კეთილსახოვანმა დიასახლისმა, დინჯად შეტრიალდა და კოშკისკენ წაბრძანდა. დიდი მადლობა, ქალბატონო მირანდა! ეხლავე მოვრჩები მუშაობას, ავალაგებ ხელსაწყოებს და თქვენთან გამოვცხადდები-მეთქი. ჩემსას უკვე ყველაფერი მოვაწესრიგე და უმალ, კოლხური კოშკისკენ წამოვედი, ულამაზესი შველი არსად ჩანდა. „ეტიუდნიკი“ გარეთ, სახლის კედელს ფრთხილად მივაყუდე და ნახატი-ტილო შესასვლელ კართან, ნათელ ადგილას დავდე. ამ დროს კონსტანტინე ბატონი, წინასწარმეტყველ მოგვისმიერი სვლით დარბაზიდან გამობრძანდა; დინჯად, თითქმის უხმოდ მომესალმა, ყოველგვარი ღიმილისა და მიმიკის გარეშე, მშრალი, ცივად აწეული წარბებით და გამომცდელის მზერით სურათი დაათვალიერა, ცოტა ხანს მდუმარე მოციქულივით იდგა; შემდგომ, მხოლოდ ერთი სიტყვაღა თქვა, კარგია! შეტრიალდა და შინ შეგრძანდა. მე არ დავბნეულვარ: ქალბატონი მირანდა მაჩვენებს, საით წავიდე; ელიფსური უზარმაზარი, წაბლისფერი მაგიდის თავთან, სამხრეთით ფანჯრების მხარეს მიმითითა. ჩემთვის ცალკე იყო სუფრა ოთხკუთხედ საფარზე გაწყობილი; მეორედ გამიმეორა, აქ დაბრძანდითო! მეც ჩვეულებრივ დავჯექი და დარბაზში გაფაციცებით ვათვალიერებ სურათებით და ფოტოებით ექსპონირებულ კედლებს, ერთ ადგილას **ლადო გუდიაშვილის** გრაფიკული სურათი, პარიზში მოღვაწეობის დროინდელი, საკურთხევლის სანთელივით ციმციმებდა; რაც მთავარია, ჩემთვის სალოცავი ხატივით ვუმზერ, პროზის – აზროვნების და ქართული პატრიოტიზმის ჩაუქრობელ შუქურას – ლეგენდარულ ცოცხალ პიროვნებას.

* * *

ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ!, ღვინო გაიხსენი, რომელიც გნებავდეს. სამი ბოთლი ერთად იდგა: საფერავი, კახური და ტიბაანი. მე ტიბაანი ვირჩიე, უჩუმრად გავხსენი და დავისხი ბროლის თხელ ჭიქაში. თვითონ შეუდარებელი კლასიკოსი მაესტრო, მაღალ ანტიკვარულ მაკაგონის ხის ფიგურებიან-ორნამენტით შემკულ სკამზე იჯდა. გვერდით, იატაკზე, თუთიის თუნუქის ფართო და ღრმა ჭურჭელი ედგა მცირედი წყლით. ნერწყვდენით დაავადებული, ქვედა ყბის ხშირი მოძრაობის შემდეგ, ყელის ამოწმენდითაც გადაანერწყვებდა. მრავალი შედევრის ავტორი, უზომოდ ნაშრომ-ნაჯაფარი, არ გახლდათ ჯანმრთელად, ყოველ მოძრაობაზე ემჩნეოდა, რომ ავადმყოფობდა.

წინ, ოდნავ მარცხნივ, წვრილი ტანწერწეტა ძვირფასი, ისევ უძველესი ფუუეროლი კეკლუცობდა, რომელშიც წითელი, კოლხური ღვინო მდუმარებდა. მეგობრებო! ნუ გიკვირთ! ცოტა ხნით რომ ვშორდები ზღაპრულ სივრცე-გარემოს...

კონსტანტინე გამსახურდიას პროზას; როდესაც ხარ მოაზროვნე, ინტელექტუალური მკითხველი, ღრმად გრძნობ, განიცდი და სუფთა სულიერებიდან დაწყებული, უთვალავი ნიუანსით გაზიარებს გამაოგნებელ ნეტარ სურნელოვან სიამოვნებას; ასევე გონებრივად გამდიდრებს და ზეციური სიმაღლეებისკენ წვდომებს განგაცდევინებს. სიახლე, სიტყვა-ფორმათა, ხაზ-ფერთა, მშვენიერების მოსვლას რომ გვაზიარებს და ბოლოს მაინც იდუმალ მაამებელ განწყობილებათა მთლიანობას საკმარისად ვერ დაახასიათებ და ახსნი. უთუოდ ურთულეს-ღვთიური განძია, ჩვენდა ბედად აღმოჩენილი...

დავუბრუნდეთ საოცრებათა დარბაზს:

ჩემი მენიუ ამდაგვარი გახლდათ: ფაიფურის ლამაზ თეფშზე პატარა ნაკვეთი ღომი იდო, სულუგუნჩახარშული; მეორეზე, მცირე, დაჭრილი მეგრული ხაჭაპური. ცოტად და მოკრძალებით ორივეს ვეახელი. ამჟამად ჩემთვის მთავარი იყო, უფლის მადლით თუ შედგებოდა, ოცნებად ქცეულ ბატონ კონსტანტინესთან მოკლე საუბარი. დაისხი ღვინო! წვრილი, ავადმყოფური ხმით შემახსენა და ფუუეროლი ასწია, რითაც სივრცე უჩვეულო მოვლენად შეიცვლა და, საქართველოს გაუმარჯოს! მოკლედ წარმოთქვა. ფეხზე არ ადგე! ისე მიირთვი! თითქმის ბრძანა. შემდგომ თავის თეფშს დასცქერის, ისე მეკითხება, ბინა საკუთარი თუ გაქვს, ყმაწვილო?! არა, ბატონო, ნაქირავებში ვცხოვრობ. ციგანი მთავრობა! გაღიზიანებულმა ჩაილაპარაკა, შეიძლება უხერხულად, მაგრამ ჭურჭლისკენ გადაიხარა და ისევ გაინთავისუფლა პირის ღრუ. მუდამ იმდენად უძლეველად მიმაჩნდა უპირველესი ხელოვანი, არ შემცოდებია.

რომელიმე თემაზე საუბარს მეგრულად რომ დამიწყებდა, ჩემი იმავე ფორმით პასუხი არ მოსწონდა. საინტერესო ისტორიაზე კითხვები ოდიშურად რომ დავუსვი, წარბებშეკრულმა მაესტრომ, შეკუმშული კილოთი, ქართულად გამცა პასუხი. ამასობაში მასპინძლისგან ძალიან საინტერესო და ღრმად განსხვავებული ხასიათ-განწყობილება ვლინდებოდა... ბატონი კონსტანტინე, როგორადაც ხალხი ახასიათებდა, ბუსტად ის ბუმბერაზი, ოდნავ ურჩი პიროვნება, მრავალფორმიანი ფსიქოლოგიური თვისებების პორტრეტი იხატებოდა ჩემს წინ. მეორედ თუ მესამედ კვეთილი მორალური მზერით რომ გადმომხედა, თითქოს შორეული საქართველოდან სევდით მზირალმა: უმალ გენიალური ფილოსოფოსის, ვოლტერის ფიგურული ქანდაკება წარმომიდგა თვალწინ. შემდეგ მთვარისეული შენელებული სვლა სითბოთი გაიხსნა და მეკითხება: ჩემი პატარა შველი თუ მოგეწონა, ყმაწვილო? ძალიან! ულამაზესია, ანგელოზის თვალები აქვს, ღიმილით მივმართე და პირველად ვიხილე დღეს, ნათქვამი რომ ესიამოვნა და გაეცინა კიდევაც. თხელი ლოყები ჩაეკეცა და ქვედა ყბამდე მუქმა ხაზმა გაირბინა, თვალები გაუმხიარულდა და ჩემთვის სრულიად სხვა განწყობილების მწერალ პიროვნებად გარდაისახა. უთუოდ მეამა მაესტროს მაგ სახის განწყობილების ხილვა.

სივრცოგრივი სიმდიდრის მიუწვდომლობა, რომელიც გენიის მიერ შემოტრიალდება ჩვენსკენ, ის ნაწილობრივ მაინც იმქვეყნიურია.

„გენია კოსმოსური, ყველაზე მაღალი, მგრძნობიარე ნიჭგანცდებითი, ზეკატეგორიის ინტელექტუალური დაავადებაა“...

* * *

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ! ღვინისგან ოდნავ შეთამამებულმა დაბალი ხმით მივმართე: სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის დამამთავრებელ – სადიპლომო ნამუშევრად ფერწერული ტილო-სურათი, თქვენი პორტრეტით მინდა შევქმნა და გამომშვებ კომისიას წარვუდგინო. ნებას თუ დამრთავთ, კონსტანტინე ბატონო, თითქმის მორჩილად შევეხვეწე; მხოლოდ სამჯერ შეგაწუხებთ, პორტრეტის ჩანახატების შესაქმნელად, თქვენთან მოსვლით-მეთქი. არა! ყმაწვილო! შეუძლებელია! მოჭრით გამცა პასუხი. მერმე წყვეტილი სიტყვებით წარმოთქვა: ქეთევან მაღალაშვილმა მთხოვა; ახალი ჩამოსული იყო პარიზიდან და ნატურაზე ორჯერ ვეჯექი მხოლოდ: ᲙᲝᲚᲘᲐ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲗᲐᲜ ერთხელ, რომელიც დიდი მოქანდაკეა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია გაგაცნოთ ის საინტერესო მოგონებები, რომლებიც მაკავშირებს ბატონ კოლია კანდელაკთან.

კვირა დღეა; ისვენებს სამხატვრო აკადემიის უხუცესი პროფესორი, ქანდაკების ფაკულტეტის დეკანი და საკუთარ, უზარმაზარ სახელოსნოშია ვაკეში, მცხეთის ქუჩაზე. მიუხედავად ყველაფრისა, დაძაბული, შემოქმედებითად თავდადებით მუშაობს. ბატონ კოლიასთან გამოსასვლელ დღეებში ხშირად დავდიოდი, რადგან შეყვარებული ვიყავი მოქანდაკის ნებისმიერ ნაძერწ ქმნილებაზე. ბევრს გინახავთ ალბათ **ᲐᲠᲐᲠᲘ ᲮᲝᲠᲐᲕᲐᲡ** ბიუსტი, „იმერელის“, „გენერალ ტოლბუხინის“ და მრავალი პორტრეტ-შედევრები: დღეს ვზივართ პატარა მაგიდასთან და ჭადრაკს ვთამაშობთ. რომ მოვუგებდი, სასტიკად მოეღუშებოდა სახე და მოწითალო, მხრებამდე ჩამოყრილი თმებიდან მომწვანო თვალებით დემონივით იყურებოდა. როგორც კი მომიგებდა, მეუღლე ქალბატონ ჟენიას, უმალ უკანა ოთახში მოფუსფუსეს შესძახებდა, წარმოშობით რუსი, სანქტ-პეტერბურგელი გახლდათ; მხიარული და კეილშობილი ადამიანი ჟენია! მოვუგე რეზოს! ჩქარა კონიაკი გამოიტანეო! მეც ძალიან არ განვიცდიდი ბატონ

ᲔᲠᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲓᲘᲓ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐᲜ

კოლიასთან წაგებებს. ერთხელ დიდი მოქანდაკე თავის ვრცელ სახელოსნოს მათვალიერებინებს: ორსართულიანი თაროებიდან დაწყებული, შედევრ-ქანდაკებებით იყო სავსე. მიმიყვანა ბატონ კონსტანტინეს, ბიუსტ-პორტრეტთან. ძლიერ აღვფრთოვანდი, რადგან შესანიშნავად იყო ხასიათ-განწყობილება დაჭერილი და სახის ფორმათა გამოკვეთილი ძერწვა, შეუდარებელი ფრანგი მოქანდაკის, ანტუან ბურდელის გამოქანდაკების დონეზე. აკადემიის პირველ-მეორე კურსის სტუდენტი რომ ვყოფილიყავი, ყოველგვარი მეცადინეობით და მიზანსწრაფვით, ქანდაკების ფაკულტეტზე გადავიდოდი, მაგრამ... რატომ არ დაამთავრეთ პორტრეტი, ბატონო კოლია? გულდაწყვეტილი ვეკითხები. უსათუოდ რთული ხასიათის კაცია! ერთხელ მოვიდა მხოლოდ, იჯდა ნორმალურად. არცკი საუბრობდა, ფიქრებით ჩემთან არ იყო. ორიოდე სეანსის შემდეგ მეუბნება: აწ, დანარჩენი შენი საქმისა შენ იციო, როგორც როდენმა, უნატუროდ გამოძერწა, ვიქტორ ჰიუგო, მაგრე იმოქმედეთ თქვენცო: უსათუოდ კაცო! უცნაური პიროვნებაა...

მაგ ნაამბობს როგორ გავამხელდი ბატონ კონსტანტინესთან, მაგრამ დღეს ნათლად მომაგონდა ბატონი კოლიას – სამართლიანი, მართლაც უნიჭიერესი მოქანდაკის – გულისწყრომა. არადა, წარმოიდგინეთ, როგორი ღირსების ბიუსტ-შედევრი, გვექნებოდა ქართველებს და მხოლოდ ჩვენ კი არა, გულდასაწყვეტია, რა თქმა უნდა. იმხანად საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობის, **ნადეჟდა ბურმისტროვას**, პორტრეტზე მუშაობდა; მსოფლიოში განთქმული მოქანდაკისგან უფლება მქონდა, სეანსებს დავსწრებოდი. შუადღეა, სახელოსნოს კარი გაიღო და უმშვენიერესი ტანის რხევით შემობრძანდა ულამაზესი, მაღალი ჰარმონიული აღნაგობის ქალბატონი, მიხაკებით ხელში. მოგვესალმა, შინაურულად ხალასად, მოხდენილ-მსახიობურად და მამრობითი სქესის ლომის შეხედულების დიდ მოქანდაკეს უშუალოდ, თამამად ეახლა და თბილი ღიმილით თაიგული გადასცა და ნაიარევივით დაღარულ მაესტროს წითურ ლოყაზე მოკრძალებით ემთხვია. მერმე დაიწყო ზებუნებრივი ქმედებები, მშვენება ნატურა მთლიანად უხილავ სხივებად გასცემდა შინაგან სამყაროს და მოქანდაკეს ალალად სთავაზობდა. სინამდვილეს ვიხსენებ! ბატონი კოლია ბიუსტთან მუშაობდა უცნაური მიდგომით, არა ჩქარი მოქმედებით და არცა ნელი, რაღაც შუალედური იყო, დემონურთან ახლოს. ჯერ აგურისფერ თიხას ხელის თითებშუა ამუშავებდა, თითქოსდა ავტორისა და ნატურის სულის ჩასახვა ხდებაო. მერმე გრძელი, ვიწრო ტუჩების ცმაცუნით, ზემათემატიკური სიზუსტით, ბიუსტთან მიიტანდა საგანგებოდ ნაძერწს, დასვამდა საჭირო ადგილას და იქვე სიცოცხლე, უმკვრივესი შინაგანი ფორმიდან, სულიერდებოდა. ამდაგვარად ჩვენს წინ მარადიულობა ქანდაკდებოდა.

მართლაცდა უფალმა, თავისი თავის გამოსახატავად ხელოვნება აღავლინა გენია-ადამიანთა მეოხებით...

ორი აკადემიური სეანსის დამთავრების შემდგომ ღირსეული ქალბატონი სევდიანად გავაცილეთ. ბატონი კოლია შუა სახელოსნოში, მარჯვენა მხარ-ხელჩამოშვებული და თმააშლილი, ბიუსტ-პორტრეტის წინ დადგა და შინაგანი ხავერდოვანი ხმით დაილაპარაკა, უსათუოდ ბრწყინვალე ქალია... პირადად, არც ღიმილი და აღშფოთება თუ გაკვირვება არ მომგვარა ამ ცოცხალმა სურათმა, რადგან რაღაც რეალურს მიღმა, სრულიად უცხო სივრცეში მოვექეცი.

* * *

მერამდენედ მკვეთრი მზერით გადმომხედა მითოლოგიურმა მწერალმა და მეუბნება, თუ გინდა, ჩემს პორტრეტზე მუშაობისას ფოტოებით ისარგებლე, ყმაწვილო! მირანდას მოვატანინებ ალბომს და... საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი, უმალ მართალი პროფესიონალური გადაწყვეტილება უნდა მიმეღო. წამიერი დუმილის მერმე, სამხატვრო აკადემიაში გვეკრძალება ფოტოებიდან ხატვა, თანაც ცოცხალი პიროვნებისა, ჩემო ბატონო! ვუპასუხე და ისევ უხერხული განწყობილება ჩაწვა.

დრო! წარსულ-აწმყო-მომავლით ჩვენს ირგვლივ თვითნებურად ნაწილდებოდა და უძველესი კედლის საათის ისრებზე თითქოს თანაბრად ილექებოდა. აწმყო? ჩვენთან იდგა და გარბოდა კიდევაც... მეორე სადღეგრძელოთი შენ გაგიმარჯოს! წარმოთქვა მაესტრომ. სახელი არ უკითხავს, მეც ვერ შევკადრე და თავი შევიკავე. მერმე სიზმარივით მიეკარა კოლხურ წითელ ღვინოს და ფუუფროლი მოშორებით დადგა. ნეტავ როგორი გემოსია ბატონი კონსტანტინეს რჩეული ღვინო? ჩემს თავს საიდუმლოდ ვეკითხები. სადღეგრძელოზე მადლობა მოვახსენე. მასწავლებლებით ხარ კმაყოფილი? სტიპენდიას თუ ღებულობო და მკაცრად გადმომხედა. მასპინძლისეულ ყველა შეკითხვაზე, დიახ ბატონო! სიმართლე მივუგე. შემდგომ ვგრძნობ, უკვე დაიღალა ჩემი ოცნების მწერალ-მასპინძელი და დროზე, ჩემდა ბედად, ბატონი კონსტანტინე ვადღეგრძელე, ფაქტებით, სურვილებით დიდად შევამკე, ჩემი სიტყვა-აზროვნების მიხედვით და სითბო-სიყვარულიდან გამომდინარე, მადლობის ნიშნად თავს ოდნავ შესამჩნევად მიქნევს, შემომხედა და, ლაზერის სხივივით, ჩემს მორჩილ თვალ-სხეულზე კეთილგამჭოლად გაიარა, პირველად ხილულმა მზერამ... მერმე ისევ შევთამამდი და მივმართე, კონსტანტინე ბატონო! თქვენ, ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებული, სოფელ ძველისენაკის ორწლიანი დაწყებითი სკოლა გაქვთ დამთავრებული და სოფელელები, დიდ-პატარაიანად, ვამაყობთ თქვენით. დიახ, ბატონო! მთელ სოფელს ძლიერ უყვარხართ. მაშინ მაესტროს კითხვა-წამოძახილი იყო – ფრიად ბავშვური, მართლა ვუყვარვარ?! მე კი უხმო, ვაიმეთი?! შინაგანად ჩავიკვნესე: იმდენად, რომ სიტყვიერად ვერ გამოვხატავ, ჩემო ბატონო! დავუმატე და ჩვენში თითქოს გარემო ამინდი შეიცვალაო, შუქთ გამონათებით ღიმილმა მთელ სახე-სხეულს გადაუარა. უფრო მეტად ვასიამოვნებ-მეთქი და ვეუბნები: უსაზღვრო უფლისმიერი ძალა ჰქონია სოფელ ძველისენაკს, ამოდენა გენიოსი რომ გამოგზარდათ და მესამედ ისევ გავაღიმე, უფრო გავაცინე კიდევაც.

გონებით შორს მყოფი მწერალი, გახსნილი სახით, სივრცეს უცქერდა. კეთილი საუბარი და სიმშვიდე ხომ მკურნალია ნებისმიერ შემთხვევაში... ზომიერი გამზედაობა არ მაკლდა, რათა დროულად რომ გამხსენებოდა და ერთი წინადადებაღა მეთქვა, კონსტანტინე ბატონო! ხელისუფლებამ პატარა ბინა-ოთახი რომ მომცეს, თქვენს ერთი ტელეფონის ზარს შეუძლია-მეთქი. თან უკვე გულღიად და სიამაყით განვაცხადე, რომ კომკავშირელი არა ვარ და მომავალშიც ღმერთმა დამიფაროს-მეთქი. კომკავშირელი არა ხარ, ყმაწვილო? ცნობისმოყვარეობით კითხვა დამისვა და ნდობით აევსო თვალები, საგანგებოდ შემომხედა, თითქოს ახლა აღმომაჩინაო.

მამაჩემი, კონსტანტინე ბატონო! ათას ცხრაას ოცდაოთხის აჯანყების გამოსვლის მონაწილე გახლდათ, **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** წინამძღოლობით. ბოლშევიკ **საშა გეგეჭკორს** დაუჭერია და მეამბოხეთა, მორიგ დასახვრეტთა სიაში შეუტანია, მაგრამ ბედად იმ დღეებში **ფილიპე მახარაძე** და მიხა ცხაკაია სენაკში ჩამოსულან და მათ გადაურჩენიათ მრავალნიც: ასე უთქვამთ გეგეჭკორზე, რა გიქნია, შე კაცო, მთელი სამეგრელო დაგიხვრეტიაო, შეწყვიტე ეხლავეო! ნაღვლიანად ამოიხვნეშა მაესტრომ, თითები მაგიდაზე დააკაკუნა და სახეზე ზიზღი გამოეხატა. ბაბუაჩემი **ნიკო ადამია** მაზრის მწერალი გახლდათ, მერე კომუნისტებს გაუკულაკებიათ. კი! მახსოვს ბუნდოვნად, სოფლის ხალხში ნახსენებიდან,.. დაილაპარაკა მწერალმა და თავი დახარა; კოლხური კოშკისეული სიმშვიდე უხილავი დინებით შემოიპარა დარბაზში და მაესტრომ, დაღლილმა, ფარულ-ჩათვლიმა...

საშინელებაა ადამიანის ცხოვრება, შინაგანად მუდამჟამს მარტოობაში ყოფნით...

ალბათ დასვენების დროა დიდი შემოქმედის, ფიქრმა გამკრა; ასაკოვანი მწერლის უზომო შრომა-გონებრივი; სიცოცხლე-გარემოსთან უმძიმესი ურთიერთობა, უღმრთო კომუნისტებთან გაუთავებელი დავა; ვერაფრით ვერ დაუმტკიცებდით მათ, რუსეთი, ახალ ერებულაპიად რომ ჩამოაყალიბეს. ბუნებრივი ავადმყოფობა და ასაკიც ეძალებოდა მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანს...

„თავისი დროის ზნეობის გაუმჯობესება – აი მიზანი, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ყოველი მწერალი, თუ არ სურს მხოლოდ „ხალხის გამრთობი“ იყოს“. – ბალზაკი. კონსტანტინე გამსახურდია, ჭეშმარიტი მსახურია ამ ზეგონებრივი აზრისა...

* * *

კვლავ ვეახლოთ უკეთილშობილეს დიასახლისს; დარბაზში სიმშვიდეა, ფიქრები, აზრები, ნაწარმოებთა გმირები, ყოველგვარი ზნეობისა, თითქოსდა შორეულში გავიდნენ. მგონი ხელოვნების ანგელოზიც დადუმდა და მწერალთ მოძღვარს ფიქრებით მისჩერებია. ეზოდან ოდნავ ჩიტების ხმა ისმის... უმალ წამოვდექი და ქალბატონ მირანდას დარბაზიდან გასვლის უფლება ვთხოვე, თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, დაიღალა, ბატონო! დილით ადრე იწყებს ახალ რომანზე მუშაობას, ძალიან უნდა, **„თამარ“** დროულად დაამთავროს. შემდეგ სურათი ავიღე, „ეტიუდნიკი“ მხარზე გადავიკიდე და კეთილ დიასახლისს გულთბილი მადლიერებით დავემშვიდობე. წამით შევჩერდი და უმორჩილესად ვთხოვე, მაპატიოს კონსტანტინე ბატონმა, რადგან დაუმშვიდობებლად ვტოვებ თქვენს ღირსებას-მეთქი! არა უშავს, ბატონო! ამჟამად მდგომარეობა შეიქმნა ასეთიო. მაგ წუთებში უკმარისობის გრძნობით დათრგუნულს, უჩვეულო შინაგანი უძლურობის სიმძიმე დამაწვა...

რამდენიმე წლის შემდგომ, მაშინდელ საკავშირო გამოფენაზე მხატვართა კავშირიდან წარადგინეს ჩემი კოლხური კოშკის ნახატი, ქალაქ მოსკოვში და შემფასებელმა კომისიამ ფონდებისთვის შეიძინა კიდევაც. დღეს ნამდვილად ვნანობ; ნეტავ ჩემთან ყოფილიყო ერის საამაყო კონსტანტინე გამსახურდიას სიცოცხლის დროინდელი კოლხური კოშკის ამსახველი ფერწერული ტილო; ან საჩუქრად გადამეცა ოჯახისთვის. თუმცა, ბატონი კონსტანტინეს შვილის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ოჯახზე თავდასხმის დროს, საუბედუროდ, კოლხური კოშკი რომ გადაწვეს, შეუდარებელი, მგზნებარე პატრიოტის მიმართ მტრულად განწყობილმა ქართველებმა, ჩემი ნახატიც ხომ პოლიტიზირებული ცეცხლის მსხვერპლი გახდებოდა.

„ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲜᲐᲒᲔᲑᲡ“. – ᲐᲜᲓᲠᲔ ᲟᲘᲓᲘ.

კონსტანტინე გამსახურდიას გემოვნებიანი, სტილძარღვიანი პროზა, შემოქმედებითი სრულყოფილებაა ნებისმიერი ეპოქისა თავისი სხეულ-სულიერებით; სამშობლოს უმდიდრეს წარსულ, ყოფით და დღევანდელობის ქარცეცხლიანი ისტორიიდან იყო აღმოცენებული, რომლითაც ერის მომავლის სასიცოცხლო კვირტებს აღვივებდა. თავისი ქვეყნის პატრონ-პატრიოტი გახლდათ, რჩეულ ქართველ მეფეთა დონეზე და კოსმიურად აზროვნებდა, მეცნიერულ-ფილოსოფიური რწმენითი ჯანსაღი აღმოჩენებით, ნებისმიერ პატრიარქზე უმეტესად. თავდადებით ებრძოდა როგორც წარსულის, ასევე იდეურად აღჭურვილ თავისი დროის უძლიერეს დამპყრობლებს. მრავალჯერ თუ გადაურჩა გოლგოთა-გილიოტინას, ისევ ვით უხორცო უშიშარის, დაუდგრომელ-მოუსვენარი და სუსხიანი ნიჭ-გენიიდან გამომდინარე, მაგრამ მოღალატე ქართველებთანაც მუდმივი დაპირისპირებებით, პირადი ჯანმრთელობა დღითიდღე უუარესდებოდა. ჯალათებმა რამდენიმეჯერ, იოანე ნათლისმცემელივით, პატიმრობაშიც იყოლიეს. უთუოდ წმინდა მებრძოლი, ზეციდან ახლად მოვლენილი მორიგი შეწირულობა გახლდათ: სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ ზოგავდა უიშვიათეს უფლისმიერ ნიჭთ-მოწოდებას და ერის სამსხვერპლოზე პირწმინდად მიაბრძანებდა სამშობლოს სიცოცხლის მირონმომდინარე ხატთან, რომელიც ათასწლეულთა საშოდან გამოგვეცხადა. მთელი სიცოცხლე ნათელმიზნობრივად ჯვარზე გაკრულმა გმირულად გაატარა. კეთილი ზვარაკი ნელ-ნელა იცლებოდა წმინდა სისხლისგან და ღია არტერია-კაპილარ-ძარღვებით დღენიადაგ კვებავდა მარად ტანჯულ, შინაური თუ გარეული მტრისგან გადათელილ მამულს, რისგანაც მადლიერებით აღმოცენდნენ შეუპოვარი, კვლავ შეწირული გმირები.

ღია ზეცის გუმბათიდან უძველესი და უძლეველი კოლხეთის მეფე აიეტ – მზის ღმერთის შვილი და ლეგენდა, გმირი მეფის, დავით აღმაშენებლის ღვთაებრივი ცრემლი, ვარსკვლავეთურ ენერგიად ეპკურებოდა განგებით რჩეულ შვილს...

შემოქმედად გაჩენა და მოღვაწეობა ტკივილ-სიამოვნებითი მოსვლაა სრულყოფილი. დიახ, ეგაა მთავარი ფორმა და არსი მიუწვდომელ შემოქმედ ზეციურობისა. სიკვდილითაც ხომ უმძიმესი ტანჯვით, უსასრულო სიამოვნებაში გადასვლაა: სამყარო, კოსმოს-საოცრება – შენ ხარ, უფალო!

უდრეკი გენია-ხელოვანი საბოლოოდ მედგრად დაეძგერა სიკვდილს და დაიმსხვრა მეტეორებად გარდასახული...

მწერლის უნიკალური, მზედქმნილი რომანები, მოთხრობები, ნოველები, ესეები თუ მრავალი მეცნიერულ-ფილოსოფიური წერილ-ნაწარმოები სამუდამოდ დაობლდაო, ვიღაცებმა დაიძახეს, მაგრამ არა! ერმა და მსოფლიომ მარადიულად იშვილეს.



ნეტარ! კონსტანტინე ბატონის სისხლი კი, სამშობლოს მიწის ჟამეულ ნაპრალებში მტკიცედ ჩაკირდა...

ᲠᲔᲖᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐ

2020 წ.

◎ სკანდალი

შესაძლოა, ჯოკოვიჩიც...



ნიკოლოზ ბასილაშვილის ადვოკატი ირმა ჭკადუა არ გამორიცხავს, რომ საქმეზე ცნობილი სერბი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი დაკითხონ. ამის შესახებ მან „პირველ არხს“ განუცხადა.

„ჯერ ამაზე საუბარი არ მსურს, თუმცა, ნამდვილად განიხილება მისი დაკითხვის საკითხი. ზუსტ დეტალებზე არ ვისაუბრებ, მაგრამ საქმეზე ბევრი უცხოელი დაიკითხება, მათ შორის ისინი, ვისთვისაც გარკვეული ფაქტებია ცნობილი. მაგალითად, ამერიკის ღია პირველობაზე, როდესაც ქალბატონი ნეკა ჩავიდა და გარკვეული ინციდენტი მოხდა. მაშინ საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჩემპიონატის ორგანიზატორებმა იგი დაცვის თანხლებით გაიყვანეს და აკრედიტაციაც გაუუქმეს. სხვას ვერაფერს გეტყვით ამ ეტაპისთვის“, — განაცხადა ირმა ჭკადუამ.

შეგახსენებთ, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილი 22 მაისს ყოფილ მეუღლეზე ძალადობის ბრალდებით დააპატიმრეს და 100 000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს და მომდევნო სასამართლო სხდომა 16 ივლისსა ჩანიშნული.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

მანუს „ტიტები“

სუპერლიგის მომდევნო 2020-2021 წლების სეზონში„ ტიტების“ მთავარი მწვრთნელი მანუჩარ მარკოიშვილი იქნება.

შეგახსენებთ, რომ იგი ასევე საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ილიას ზუროსის ასისტენტი გახლავთ.

მანუჩარმა შთამბეჭდავი კარიერა ქრონიკული ტრავმების გამო ორი წლის წინათ დაასრულა, წლევანდელ სეზონში კი ნაკრებთან ერთად ჩვენი გუნდის სამწვრთნელო სტაფში იყო. რაც შეეხება მის სანაკრებო კარიერას, „მანუმ“ ოთხი ევრობასკეტი ითამაშა, ჯამში კი ეროვნული გუნდის მაისურით 52 შეხვედრა მოუგროვდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ გამოიცა

ბორჯომელი კოლორიტი



გივი ჩოხელისა და მურთაზ ხურცილავას პოზიციაზე რომ მოგანდობენ თამაშს, ესე იგი შენში განსაკუთრებულ პოტენციალს ხედავენ. კიდევ უფრო დასაფასებელია ასეთი სარისკო ნაბიჯის გადადგმა მწვრთნელებისგან საჩემპიონო სეზონის განმავლობაში, როცა თითოეული შეცდომა ოქროს ფასს იძენს.

გავრიილ კაჩალინმა, რომ იტყვიან, ათიანში გაარტყმა და **ჯემალ ზეინკლიშვილის** სახით თბილისის „დინამოს“ დაცვის ის ბურჯი გამოძერწა, რომელმაც ღირსეული წვლილი შეიტანა 1964 წლის ტაშკენტის ტრიუმფში.

მართალია, შედარებით გვიან — 17 წლის ასაკში ჩარიცხეს მშობლიური ბორჯომის სპორტსკოლაში ვანო მეტრეველთან, მაგრამ გამორჩეული ოსტატობითა და ტექნიკით მალევე ჩამოყალიბდა უნივერსალად, რამაც მოგვიანებით გამოისხა ნაყოფი, როცა ნებისმიერ ამპლუაში წარმატებით ართმევდა თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ხალასი იუმორის იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული „სვისტუნასგან“ ხშირად გაიგონებდით — მე და ბრეჟნევი ერთ დღეს — 19 დეკემბერს ვართ დაბადებულნიო. მის თავშესაქცევ ისტორიებზე ხომ დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, რაც ისევ და ისევ გუნდის შედეგებზე აისახებოდა დადებითად.

ღირსებითი ორდენის კავალერმა საკავშირო ჩემპიონატების 171 მატჩში 6 გოლი გაიტანა, ქვეყნის თასის გათამაშებაში გამართულ 14 შეხვედრას კი 35 საერთაშორისო თამაში დაუმატა. მოპოვებული ჰქონდა სსრკ პირველობის ოქროსა და ორი ბრინჯაოს მედალი, ხოლო ისტორიულ 1964 წელს 33 საუკეთესო ფეხბურთელს შორის დაასახელეს.

ყოველივე ამის შესახებ, აგრეთვე საყვარელი გუნდიდან გაშვების მიზეზისა და სხვა უამრავი საინტერესო ამბის თაობაზე წიგნიერი გულშემატკივარი დაწვრილებით შეიტყობს ქართული ფეხბურთის დაუცხრომელი მემატიანისა და პოპულარიზატორის — **დემიკო ლოლაძის** მორიგი კრებულიდან, რომელმაც დღის სინათლე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელშეწყობით იხილა (რედაქტორი **კახა ჭუმბურიძე,** დიზაინერი **კახა ბახტაძე,** ტექრედაქტორები **ნუნუ ლოლაძე, სალომე კიკალიშვილი,** კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნუნუ ლოლაძე**).

დავძენთ, რომ გარეკანის უკანა გვერდს თვით ბატონი დემიკოს ნახატი ამშვენებს.

გიორგი ზოთაძე

◎ ფეხბურთი

კარპატული პანდემია

უკრაინის პრემიერლიგის ბინადარ ლვოვის „კარპატში“ კორონავირუსის პანდემიაა. როგორც Sportarena იტყობინება, კლუბში დაინფიცირების 26 შემთხვევა დადასტურდა.

ცნობილია, რომ ერთ-ერთი მათგანი მთავარი მწვრთნელია, 11 — ფეხბურთელი და 14 მათგანი — კლუბის სხვა მომსახურე პერსონალი, თუმცა, კონკრეტული სახელები არ გაჟღერებულა.

როგორც მოგეხსენებათ, „კარპატის“ რიგებში ქართველი მცველი ანდრო გიორგაძე თამაშობს. ისიც ვთქვათ, რომ ლვოვის გუნდს უკრაინის ჩემპიონატში უკანასკნელი მატჩი „მარიუპოლთან“ არ ჩაუტარებია.

ბეჟან დოლიძე

◎ ჭადრაკი

ბაციაშვილის მთავარი...

41 ქვეყნის 514 წარმომადგენელი მონაწილეობდა ევროპის საჭადრაკო კავშირის მიერ ორგანიზებული კონტინენტის ონლაინჩემპიონატის უძლიერესთა E ჯგუფში (2300 და უფრო მაღალი რეიტინგით). პარტიისთვის თითოეულს 10 წუთი ეძლეოდა ყოველ სვლაზე 2-2 წამის დამატებით. შეჯიბრებაში 16 ქართველი დიდოსტატი ჩაება. ონლაინტურნირში კარგად ითამაშა ნინო ბაციაშვილმა: პირველ ტურში მან რვა შესაძლებლობიდან 5 ქულა მოაგროვა და ქალებში რუმინელი ირინა ბულმაგას (5.5 ქულა) შემდეგ მეორე იყო. ასევე, 5 ქულით მესამე ადგილზე ნინო ხომერიკი გავიდა.

ბაციაშვილმა მე-2 ტურშიც რვა შესაძლებლობიდან 5 ქულას მოუყარა თავი და ისევ მეორე იყო (პირველ ადგილზე გასულ მერი არაბიძეს ქულით ჩამორჩა). სამაგიეროდ, ორი რაუნდის ჯამში 10 ქულით ყველას აჯობა და ჩემპიონატის მთავარი პრიზი დაიმსახურა. რუსმა მოჭადრაკეებმა — პოლინა შუვალოვამ და დარია ვოიტმა 9.5-9.5 ქულით, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს. ტურების გამარჯვებულები — ბულმაგა და არაბიძე საბოლოოდ პრიზიორებში ვერ მოხვდნენ.

ვაჟთა ფინალურ 16 საუკეთესოში ქართველებმა ვერ გააღწიეს. აქ მთავარი პრიზი ალექსეი სარანას (რუსეთი) ხვდა — ფინალში დავიდ ნავარას (ჩეხეთი) მოუგო. მესამე ადგილზე სომეხი გაბრიელ სარქისიანი გავიდა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში თანამემამულე სერგეი მოვსესიანს აჯობა.

ლექსო ცინცაძე

◎ ინტერნეტიდან

წუნია სენედა

თქვენს წინაშეა მკერდდალოცვილი ბოსნიელი ტელეწამყვანი სენედა ნურკიჩი, რომელიც არასოდეს გაურბოდა პირადი ცხოვრების დეტალებზე საუბარს და მისი ესოდენი პოპულარობაც სწორედ ამ სითამამემ და ყველაფრის წამოროშვის მძაფრმა სურვილმა განაპირობა.

ნურკიჩის ქალმა სულ ახლახან დაიწუწუნა, რომ მასთან ერთწლიან ტრფიალებასა შინა მყოფი, ახლა კი უკვე გაშორებული, ამჟამად რუსეთში მობურთალი კოტ დივუარელი 25 წლის ფეხბურთელი სედრიკ გოგუა სექსის ამბებში დიდი ვერაფერი შვილია. თურმე, მისებრი სუსტი მამაკაცები სენედას ცხოვრების არცთუ საამო წუთებს ახსენებენ.

სენედა ნურკიჩმა დაწუწუნებისას ისიც აღნიშნა, რომ მამაკაცის კანის ფერს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს და საწოლში ბოთეობა შავკანიანებსაც კარგად „ეხერხებათ“. ბოლოს კი იმასაც გეტყვით, რომ სენედა ტელეწამყვანობამდე მეძავობით ირჩენდა თავს და „იმ საქმეში“ ჭკუა ნამდვილად მოეკითხება.

მანუჩარ გიორგაძე

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ორუჯ ხალილოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ორუჯ ხალილოვი (პ/ნ 36001034526), საგარეჯო, ს. ლამბალო, მე-3 ქ. №23

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

საგარეჯო, ს. ლამბალო, 21-ე ქ. №35 (საკადასტრო კოდი: 55.21.53.042https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 32819.84 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 2 ივნისი, 15:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 15 ივნისი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66057720;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 660577

6. **მოვალე:** ორუჯ ხალილოვი (პ/ნ 36001034526), საგარეჯო, ს. ლამბალო, მე-3 ქ. №23;
სუბხან ხალილოვს (პ/ნ 36001031064), საგარეჯო, ს. ლამბალო, მე-13 ქ. №4.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66057720; ლოტის ნომერი: 660577).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 15 ივნისის 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ჰაფუს კახრამანოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ჰაფუს კახრამანოვი (პ/ნ 36001012224), საგარეჯო, ს. თულარი, მე-7 II ჩიხი №10

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

საგარეჯო, სოფელი თულარი (საკადასტრო კოდი: 55.03.54.248https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 6465.64 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 2 ივნისი, 15:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 15 ივნისი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66058520;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 660585

6. **მოვალე:** ჰეიდარ კახრამანოვი (პ/ნ 36001031062), საგარეჯო, ს. თულარი, პირველი I შეს. №1;
ჰაფუს კახრამანოვი (პ/ნ 36001012224), საგარეჯო, ს. თულარი, მე-7 II ჩიხი №10;
მახმად მუხტაროვი (პ/ნ 36001010037), საგარეჯო, ს. თულარი, მე-7 II ჩიხი №12;
აქბარ კახრამანოვი (პ/ნ 36001012431), საგარეჯო, ს. მუღანლო.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
